

ქ. ავთანდილაშვილი

კომპიუტერული დაპროექტება

III ნაშროვი

კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD

თბილისი 2007

ს პ რ ჩ ი ვ ი

შესავალი	2
თავი I.	3
1.1. სახაზავი დაფა და სამუშაო ველი ეპრანზე	5
1.2. დათვალიერებისმასშტაბი	9
თავი 2.	13
2.1. პირველი ნაბიჯები	13
2.2. ტექსტთან მუშაობა.....	20
თავი 3.	24
3.1. შაბლონები	24
3.2. ბიჯი, ბადე, ორთოგონალური	27
თავი 4.	30
4.1. ხაზისა და მოდიფიკაციის ღილაკები	30
4.2.	32
თავი 5.	49
5.1. ფორმატების დახაზვა	49
თავი 6.	53
6.1. ზომების განთავსება.....	53
6.2. ზომების რედაქტირება	57
6.3. ნახაზის ბეჭდვა.....	61
ლიტერატურა	63

შესავალი

AutoCAD - არის უნივერსალური გრაფიკული სისტემა და ფართოდ გამოიყენება საკონსტრუქტორო დაპროექტების დროს. სისტემა დამუშავებულია ფირმა Autodesk Limited – ის მიერ. მისი გამოჩენა ახალი არა და ის ფაქტი რომ ყოველ ორ-სამ წელიწადში გამოდის ამ პოპულარული პროგრამის ახალი ვერსია, რეომელიც კონსტრუქტორისა და დამუშავებლის შრომას ხდის უფრო ხარისხიანისა და ეფექტურს, მეტყველებს მის ფართო გავრცელებაზე მომხმარებლებს შორის.

დიდი ყურადღება ეთმობა პროგრამა AutoCAD-ის ადაპტაციას საკონსტრუქტორო საბუთების ერთიან (ЕСКД) სისტემასთან და სამამულო პირობებში მის გამოყენებას.

განვიხილავთ პროგრამა AutoCAD -ის 2005 ვერსიას. აღსანიშნავია რომ ამ ვერსიებში მომხმარებლისაგან არ მოითხოვება კომპიუტერული ტექნიკის პროფესიონალური ცოდნა, მაგრამ უნდა ფლობდეს კონსტრუქტორის უნარს მომზადების ნებისმიერი დონით. ასეთ მომხმარებელს შეუძლია კომპიუტერი გამოიყენოს როგორც ხელსაყრელი ტექნიკური საშუალება, რომელიც გაანთავისუფლებს მძიმე შრომისაგან, ასწევს საკონსტრუქტორო საბუთების ხარისხს, შეამცირებს დამუშავების დროს და რაც მთავარია შემოქმედებით ფანტაზიაში აძლევს თავისუფლებას.

ნაშრომი გათვალისწინებულია ისეთი კონსტრუქტორებისათვის, რომლებიც ფლობენ Windows98-ის საწყის სამომხმარებლო სიახლეებს და ტექსტური რედაქტორის Word-ის მუშაობის პრინციპს.

სწავლება იწყება გამოიყენებული ტერმინებისა და განსაზღვრებების გაცნობით. საქმე იმაშია რომ კომპიუტერულ ტექნიკაში, განსაკუთრებით პროგრამისტებს შორის გამომუშავდა ტექნიკური ენა, რომელიც მხაზველებსა და კონსტრუქტორებს შორის, (რომელიც გაიზარდნენ საკონსტრუქტორო ენაზე), არ გამოიყენება. სწორედ ამის გამო ცალკეული ბრძანებები ინგლისური ენიდან სიტყვა-სიტყვით კი არა, არამედ კონტრუქტორებისათვის მისაღებ ტერმინებში ითარგმნება.

პროგრამის სწავლება იწყება უშუალოდ კომპიუტერის ეკრანთან. თანდათანობით ხდება საჭირო ბრძანებებისა და მუშაობის ხერხების ათვისება. არ არის აუცილებელი თავიდანვე აბსოლუტურად ყველა ბრძანებისა და მუშაობის ხერხის გაცნობა. მოცემულია ყველაზე საჭირო და აუცილებელი ბრძანებები, რომლის საფუძველზე ხდება შემდეგ ცოდნის გაფართოება.

თაგვით მუშაობა

კომპიუტერთან მუშაობის დროს Windows -ის ოპერაციული საშუალება მოითხოვს თაგვის გამოიყენების ცოდნას. მისი საშუალებით ხდება ბრძანებების მართვა, მონაცემების შეტანა, ეკრანის შეცვლა და მრავალი სხვა. ამიტომ ჯერ გაეცანით ტერმინებს, რომელიც ეხება თაგვით მუშაობას და მასზე მოქმედების ძირითად ხერხებს.

თაგვის მაჩვენებელი ანუ კურსორი – არის ნებისმიერი სახის ნიშანი ან სიმბოლო, რომელიც თაგვის მოძრაობის დროს სამუშაო მაგიდაზე სინქრონულად გადაადგილდება ეკრანზე. ეკრანის სხვადასხვა ნაწილში მას შეუძლია შეიცვალოს ფორმა, მაგრამ ტექსტი ყოველთვის მოგვაგონებს “ თაგვის მაჩვენებელს ”.

ობიექტზე თაგვის წაკუნი – არის სპეციფიური ტერმინი, რომელიც იხმარება კომპიუტერული თაგვის მიმართ. ამ მოქმედების შესასრულებლად საჭიროა ამოძრაოთ თაგვი სამუშაო მაგიდაზე, აირჩიოთ ობიექტი ან ეკრანის გარკვეული ადგილი. ეს

შეიძლება იყოს დილაკის გამოსახულება, წარწერა ან ბრძანების ნიშანი, ნახაზის ელემენტი და ა. შ. თაგვის მარცხენა კლავიშზე თითის მოკლე დაჭერა, კომპიუტერისათვის აღიქმება როგორც არჩეულ ობიექტზე წაპუნი, სწორედ ამიტომ მას ეწოდება “ ობიექტზე თაგვის წკაპუნი ”.

მარცხენა კლავიშზე დაწკაპუნება (**მცპ**) - თაგვის მარცხენა კლავიშზე თითის დაჭერა და მოხსნა. ეს მოქმედება ხშირად ტოლფასია კლავიშზე Enter - შეტანა დაჭერისა,, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის, რის გამოც განსაკუთრებული საჭიროების გარეშე არ შეიძლება ერთ მოქმედსების შეცვლა მეორეთი.

მარჯვენა კლავიშზე დაწკაპუნება (**მჯპ**) – თაგვის მარჯვენა კლავიშზე თითის დაჭერა და მოხსნა. ხშირად კურსორის მდებარეობას ეკრანზე მნიშვნელობა არა აქვს.

ლილაკები

ბრძანების უმრავლესობა გაიშვება შესაბამის ლილაკზე თაგვის დაწკაპუნებით. ლილაკზე მაჩვენებლის დაყენებით (ჯერ არ დააწკაპუნოთ) გამოდის ლილაკზე დამაგრებული ბრძანების ტექსტი ინგლისურად. აირჩევთ საჭირო ბრძანების შესაბამის ლილაკს და შემდეგ დააწკაპუნებთ მასზე, რაც იმას ნიშნავს რომ აღნიშნული ბრძანება აქტიურია.

მაგ. ბრძანება ლილაკზე OK- ნიშნავს თანხმობას, დახტურს. იგი გამოიყენება პარამეტრების დაყენების შემდეგ თანხმობის ნიშნად.

ნაშრომში გამოყენებულია შემოკლებული აღნიშვნები:

სს – სათაურის სტრიქონი;

მს - მენიუს სტრიქონი;

სის – სტანდარტული იარაღების სტრიქონი;

ოთ – ობიექტების თვისებები;

იპ – იარაღების პანელი;

ბს – ბრძანებითი სტრიქონი;

მს – მდგომარეობის სტრიქონი;

მცპ – მარცხენა კლავიში;

მჯპ – მარჯვენა კლავიში.

ბრძანებების ან ნახაზის მუშაობის ასახსნელად ტექსტში მოყვანილია მოქმედებების მიმდევრობა, რომლებიც ჩაწერილია სიმბოლოებიანი სტრიქონის, ბრძანებების ნიშნების და განმარტებითი ტექსტის სახით. მაგალითად:

► - ბრძანებებით მუშაობის დაწყება;

⇒ - მომდევნო ბრძანებაზე გადასვლა;

❖ - კლავიატურაზე Enter - შეტანის კლავიშზე დარტყმას, ორი ასეთი ნიშანი აღნიშნავს Enter - კლავიშზე ორჯერ დარტყმას;

ბრძანებით სტრიქონში გამოტანილი ტექსტი მოცემულია გაშლილი, ბაცი ფონტით, ხოლო კლავიატურიდან შეტანილი რიცხვები და ასოები გამოყოფილია მუქი ფონტით. მაგალითად:

► **ბს _dtext Justify/Stzle/<Start Points>: S ❖**

მოცემული ტექსტი აღწერს რა სამუშაოა მითითებული ბრძანებით სტრიქონში. ბრძანების შესასრულებლად კლავიატურიდან უნდა შეიტანოთ ლათინური ანბანის ასო S და დაარტყათ კლავიშზე Enter.

ზოგჯერ ბრძანებით სტრიქონის ტექსტს გამოსტოვებენ და კლავიატურით პირდაპირ შეაქვთ ციფრები და ასოები. მაგალითად:

► **ბს @ 13.5,132@ ❖**


ბრძანების მიმდევრობაში შეიძლება ჩართული იყოს ახსნა. ტექსტი მრგვალ ფრჩხილებში აღნიშნავს სიმბოლოს ან ბრძანების დანიშნულებას, ხოლო კვადრატულ ფრჩხილებში მითითებულია თუ რა უნდა გააკეთოთ მოცემულ შემთხვევაში. მაგალითად:

► ბს ⇨ **Draw** (ნახავე) ⇨ **Text** (ტექსტი) ⇨ **Single Line Text** (ერთსტრიქონიანი ტექსტი) ⇨ **KC - dtext Justify/Stzle/<Start Points>**: **S** (ასო აღნიშნავს ბრძანება **Style** – სტილის შეტანას) ⇨ 3 (ციფრი 3 შეესაბამება ტექსტის სტილს) ⇨ **KC select start Point** [დააყენეთ მაჩვენებლი ტექსტის დასაწყისში] ⇨ [შეიტანეთ ტექსტი კლავიატურიდან] ⇨ ⇨.

სახაზავი დაფა და სამუშაო ველი გერანზე

წინასწარ შევთანხმდეთ რომ ხაზის რედაქტორი შექმნილია და მუშაობს Windows-ის ბაზაზე, ამიტომ მომხმარებელს უნდა პქონდეს Windows-ში მუშაობის ჩვევები: (საქადალდის შექმნა, ფაილის მოძებნა, ფაილის გახსნა, კოპირება, ჩაწერა ანუ შენახვა და ა. შ.).

ხაზის რედაქტორის AutoCAD-ის პიქტოგრამაზე დაწყაპუნებით ჩაიტვირთება სამუშაო პროგრამა. თუ ფანჯრის ზემოთ გამოიტანება დიალოგური ფანჯარა Start Up - გაშვება, რომელსაც მოგვიანებით გაეცნობით, დახურეთ იგი დილაკზე Close - დახურვა მცდ - ზე დაწყაპუნებით. თქვენს ეპრანზე გამოჩნდება პროგრამა AutoCAD-ის ფანჯარა და სამუშაო ველი, რომელიც შეცვლის სახაზავ დაფას და სხვა მრავალს, რომელსაც იყენებდა კონსტრუქტორი და ინჟინერი საკმაოდ სერიოზული მუშაობის დროს.




ნახ. 1. 1 პროგრამა AutoCAD 2000-ის სამუშაო ველი.

სამუშაო ველის ირგვლივ არის არე რომელშიც მართვის მრავალრიცხოვანი ელემენტებია.

არაა გამორიცხული, რომ თქვენს კომპიუტერზე პროგრამა AutoCAD –ის ფანჯარა და ცალკეული სტრიქონების განლაგება განსხვავდებოდეს ნახატ 1. 1 – ზე ნაჩვენებ ფანჯრის განლაგებისაგან. აქ საგანგაშო არაფერია, რადგან ფანჯრის განლაგება დამოკიდებულია კონკრეტულ მომხმარებელზე. შესაძლოა, რომ ფანჯრის ზოგი პანელი და ელემენტი სხვა ზომისაა და მოთავსებულია ეკრანის ნებისმიერ ადგილზე, ან საერთოდ არ ჩანს ეკრანზე. თანდათან ისწავლით ამ ფანჯრის სახის ცვლილებასა და თქვენი გემოვნების მიხედვით მის აწყობას.

ნახაზის დათვალიერება

მანამ სანამ შეუდგებით საკუთარი ნახაზის შექმნას პროგრამა AutoCAD – ის საშუალებით, ზედმეტი არ იქნება კომპიუტერის ეკრანზე მზა ნახაზის დათვალიერება. პროგრამა საკმაო რაოდენობით შეიცავს როგორც სადემონსტრაციო ნახაზებს, ისე ნამზადებს. ყველა საბუთი, როგორც ნახაზი ისე ტექსტური, დამუშავებული AutoCAD – ის ნებისმიერ ვერსიაში, იწერება ფაილში, რომლის გაფართოებაა .dwg, ამიტომ კომპიუტერის ხისტ დისკზე (ვინჩესტერზე) თავდაპირველად უნდა მოძებნოთ აღნიშნული გაფართოების ფაილები. ვისაც შეუძლია Windows – ში დამოუკიდებლად .dwg გაფართოების ფაილების მოძებნა ეს პუნქტი გამოტოვოს, ყველა სხვა დანარჩენმა კი შეასრულოს ბრძანებათა შემდეგი მიმდევრობა:



ნახ. 1. 2. ფაილის ან საქაღალდის ძებნის დიალოგური ფანჯარა

გახსენით მენუ Start - გაშვება, აირჩიეთ ბრძანება Find - ძებნა, ქვემენიუდან აირჩიეთ Files & Folders (ფაილები და საქაღალდები) და დაწყაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე, გამოვა ფაილის ძებნის დიალოგური ფანჯარა, იხილეთ ნახ. 1. 2. იგივე შეგიძლიათ შეასრულოთ შემდეგი მიმდევრობით:

აირჩიეთ ბრძანება მენიუდან File → Open ან დააწყაპუნეთ სტანდარტული იარაღების სტრიქონის კლავიშზე Open, გამოვა საქაღალდების და ფაილების ჩამონათვალი, გახსენით საქაღალდე Programs File, შემდეგ საქაღალდე AutoCAD2004, მონახეთ საქაღალდე Sample (მაგალითები) და დააწყაპუნეთ მაჩვენებელით. დიალოგურ ფანჯარაში გაჩნდება მხოლოდ .dwg გაფართოების ფაილები. თუ აირჩიეთ ისეთი საქაღალდე, რომელშიც ასეთი გაფართოების მქონე არ არსებობს, მაშინ ფანჯარა იქნება ცარიელი, თუმცა მასში იქნება სხვა გაფართოების მქონე ფაილები, რომლებიც პროგრამა AutoCAD -ში არ ჩანან. თავდაპირველად რადგან ჯერ მუშაობას მიჩვეული არა ხართ, ამიტომ მზა მაგალითების დათვალიერებისას რამე რომ არ გაფუჭოთ უნდა იცოდეთ სამუშაო რეჟიმიდან სწორი გამოსვლა. არსებობს რამდენიმე ხერხი:

1. ნახაზის დახურვა x – ლილაკზე მაჩვენებლის ერთჯერ დაწყაპუნებით. გამოვა დიალოგური ფანჯარა სახელწოდებით AutoCAD, რომელიც გეკითხებათ შეცვლილი სახით შეინახოს თუ არა ნახაზი, თუ დაეთანხმებით შეცვლილს შეინახავს, რასაც არ გირჩევთ, ამიტომ უნადა დააწყაპუნოთ კლავიშზე No – არა, ხოლო კლავიშზე Cancel - მოხსნა დაწყაპუნებით დარჩებით იმავე რეჟიმში – დათვალიერების რეჟიმში;
2. იგივე დიალოგური ფანჯარა შეგიძლიათ გამოიტანოთ მენიუდან ბრძანებით File → Close – (ფაილი → დახურვა) და ყველაფერი გაიმეოროთ ზემოთ აღნიშნულის მიხედვით;
3. ეს ვარიანტი გამოიყენება მაშინ, როდესაც სამუშაო მაგიდაზე გახსნილია ერთი ნახაზი, არ გინდათ პროგრამიდან გამოსვლა და გინდათ გახსნათ ახალი ნახაზი. ამ შემთხვევაში უნდა აირჩიოთ ბრძანება მენიუდან File → Open (ფაილი → გახსნა.) სამუშაო მაგიდაზე გამოვა ნაცნობი დიალოგური ფანჯარა იმავე შეკითხვით. ეს უკვე თვითონ უნდა განსაზღვროთ და აირჩიოთ შესაბამისად ბრძანება “კი” ან “არა”. იგივე ბრძანება შეგიძლიათ შეასრულოთ სტანდარტული იარაღების სტრიქონზე მოთავსებული Open (გახსნა) კლავიშის საშუალებით.

თუ გახსნილია დიალოგური ფანჯარა Select File (ფაილის არჩევა), აირჩიეთ სხვა საქაღალდე, მონახეთ რომელიმე ფაილი გაფართოებით .dwg და გახსენით, არჩეული ფაილი გამოიტანება სამუშაო მაგიდაზე, რომელიც იკავებს ეკრანს მთლიანად, მაგრამ იქნება ძალიან პატარა და მისი დათვალიერება მოუხერხებელია. ნახაზთან ან მის ნებისმიერ ფრაგმენტთან მუშაობა რომ მოხერხებული იყოს საჭიროა მისი გაზრდა ნებისმიერი მასშტაბით.

სწრაფი მიმოხილვა

ნახაზის სწრაფი და დეტალური დათვალიერებისთვის პროგრამა AutoCAD -ში არსებობს რამდენიმე ხერხი. ერთ-ერთი მათგანია ბრძანება Aerial View - სწრაფი მიმოხილვა. მასთან მუშაობის გასაცნობად გამოვიყენოთ AutoCAD – ის ბიბლოეტებაში შენახული მაგალითებიდან რომელიმე ნახაზი, რისთვისაც შეასრულეთ შემდეგი:

მონახეთ სტანდარტული იარაღების სტრიქონზე კლავიში Open(გახსნა), მაჩვენებლით დააწყაპუნეთ მასზე ერთჯერ. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Select File

(ფაილის არჩევა), მოძებნეთ საქაღალდე Sample(მაგალითები) აირჩიეთ ნახაზი მაგალითად Opera.dwg და გახსენით. სამუშაო მაგიდაზე გამოჩნდება წითელი ფერის სივრცითი ნახაზი, რომლის სრულყოფილად დათვალიერებისათვის ისარგებლეთ ბრძანებით მენიუდან View → Aerial View (ნახვა → სტრაფი ნახვა), მასზე დაწკაპუნებით სამუშაო მაგიდაზე გამოვა პატარა ფანჯარა, რომლის სახელია Aerial View - სტრაფი მიმოხილვა. ამ ფანჯრის გამოტანა სამუშაო მაგიდაზე შეიძლება სტანდარტული იარაღების სტრიქონიდანაც შესაბამის კლავიშზე დაწკაპუნებით.

► View → Aerial View

ამ ბრძანების გაშევების შემდეგ სამუშაო მაგიდაზე გამოდის ფანჯარა, რომელიც ოპერაციული სისტემის Windows-ის დიალოგური ფანჯრის მსგავსია. შეგიძლიათ დააპატაროთ ფანჯარა და მოათავსოთ სამუშაო მაგიდის ხელსაყრელ ადგილზე ისე, რომ მუშაობაში ხელი არ შეგიშალოთ. ფანჯრის შიგნით მოთავსებულია კიდევ პატარა ფანჯარა, სადაც სამუშაო ველში გამოტანილი ნახაზი შემცირებული სახით მეორდება. პატარა (შიგა) ფანჯარაზე მოთავსებული კლავიშებით ხდება ფანჯრის შიგნით ნახაზის ზომების მართვა.

ნახაზის დათვალიერების დროს ძირითადი სამუშაო სრულდება ორი კლავიშით: Pan (პანორამა) და Zoom (ხედი). მუშაობის დროს აუცილებელი არ არის ამ კლავიშებზე დაწკაპუნება, რეუიმი გადაირთვება მარჯვენა კლავიშზე დაწკაპუნებითაც.

☞ Pan (პანორამა)-ის აქტიურობის დროს მაჩვენებელი დებულობა ხელის მტევნის ანუ თათის ფორმას.

ამოძრავეთ თაგვი ისე, რომ მაჩვენებელი მოქმედება Aerial View(სტრაფი მიმოხილვის) ფანჯარაში., რის შედეგადაც მაჩვენებელი მიიღებს ორი უსასრულო წრფის გადაკვეთის ფორმას (ჯვრის). დააწკაპუნეთ მარჯვენა კლავიშზე და დააკვირდით პატარა ფანჯარას. აირჩიეთ რეუიმი Zoom (ხედი), ჯვრის ფორმის მაჩვენებელი დააყენეთ თქვენთვის საინტერესო ნახაზის ფრაგმენტზე, დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშზე და ამოძრავეთ თაგვი დიაგონალის მიმართულებით. პატარა ფანჯარაში ჯვრის ფორმის მაჩვენებელთან გაჩნდება ჩარჩო. თაგვის მოძრაობის შესაბამისად იცვლება ამ ჩარჩოს ზომა, სამუშაო ველში კი გაჩნდება ჩარჩოში მოქმედი ნახაზის ფრაგმენტი გადიდებული მასშტაბით, მარცხენა კლავიშზე დაწკაპუნებით ნახაზის გადიდებული ფრაგმენტი შეინახება სამუშაო ველში. ჩარჩოს ზომაზეა დამოკიდებული მასში მოქმედი ნახაზის ფრაგმენტის გაზრდის მასშტაბი. ახლა დააწკაპუნეთ მარჯვენა კლავიშზე, ჩაირთვება გადაადგილების რეუიმი Pan (პანორამა). დააჭირეთ თითო მარცხენა კლავიშზე და მის მოუსნენელად გადაადგილეთ თაგვი. პატარა ფანჯარაში დაყენებული ჩარჩო დაიწყებს მოძრაობას ნახაზის ფარგლებში, ამასთანავე სამუშაო ველში დაიწყებს გადაადგილებას ჩარჩოში მოქმედი ნახაზის გადიდებული ფრაგმენტი. თუ მოხსნით თითოს მარცხენა კლავიშიდან სამუშაო ველში დარჩება ნახაზის გადიდებული ფრაგმენტი. თაგვის შემდგომი მოძრაობისას პატარა ფანჯარაში იმოძრავებს ჩარჩოს დუბლი, მაგრამ ნახაზის გამოსახულება სამუშაო ველის დიდ ეკრანზე უცვლელი დარჩება მანამ, სანამ ხელახლა არ დააწკაპუნებო მარცხენა კლავიშზე.

ამგვარად, თაგვის მარცხენა და მარჯვენა კლავიშების მანიპულირებითა და ბრძანებების, Pan (პანორამა) და Zoom (ხედი), შესაბამისი ცვლილებით შეგიძლიათ მოელი ნახაზის სრულყოფილი დათვალიერება და საჭირო ფრაგმენტის გადიდებული მასშტაბით გამოტანა.

იმისათვის რომ ფაჯარა Aerial View(სწრაფი მიმოხილვა) დახუროთ, მაჩვენებლის მარცხენა კლავიშით ერთჯერ დააწაპუნეთ დილაქტე - x , რაც შეესაბამება ბრძანებას Close (დახურვა)-ს.

დათვალიერების მასშტაბი

უმარტივესი ნახაზის დეტალური დათვალიერებაც კი შეუძლებელია თუ არ გაზრდით მას სასურველ ზომამდე. ამიტომ ნახაზთან მუშაობის დროს ხშირად გჭირდებათ დათვალიერების მასშტაბის შეცვლა რაც შეიძლება სწრაფად და ადგილად. ამიტომ სანამ თქვენს პირველი ნახაზის გამოხაზვას შეუდგებოდეთ ჯერ უნდა ისწავლოთ მისი სახის ცვლილება.. სხვადასხვა მასშტაბში ნახაზის დათვალიერებისათვის გამოიყენება სტანდარტული იარაღების სტრიქონში მოთავსებული დილაკების ჯგუფი, ე.წ. Zoom (ხედი).

შენიშვნა: ინგლისური სიტყვა Zoom აღბულია სააგიაციო ტერმინოლოგიიდან, იხმარება ტელევიზიასა და ფოტოგრაფიაში მნიშვნელობით “ კამერის სწრაფი ტარება ”. AutoCAD – ში ბრძანება Zoom ითარგმნება როგორც “ მიხვენე ”, მაგრამ ეს ტერმინი სრულად არ ასახვს შესასრულებელი ბრძანების შინაარსს და რესული შესატყვისიც არ არსებობს.. ყველაზე მეტად ესადაგება სიტყვა – “ მასშტაბი ”, მაგრამ ხაზვაში იგი მიუთითებს ნახაზზე გამოსახული ობიექტის ჭეშმარიტი ზომების თანაფარდობას. AutoCAD – ში “Zoom “-ი ითარგმნება როგორც “ , ხედი ან ხედვა ”.

AutoCAD-ის მაგალითების საქადალდიდან გახსენით რომელიმე მათგანი, სტანდარტული იარაღების სტრიქონზე მონახეთ დილაკი Pan Realtime (პანორამა რეალურ დროში) და დააწაპუნეთ მასზე თაგვის მაჩვენებელით ერთჯერ, გადაადგილეთ მაჩვენებელი სამუშაო ველზე, იგი მიიღებს თათის ფორმას. ახლა დააჭირეთ თითი მარცხენა კლავიშზე და თითის მოუხსნელად ამოძრავეთ თაგვი მაგიდაზე. თაგვის გადაადგილების სინქრონულად სამუშაო ველში გადაადგილდება მაჩვენებელი, მასთან ერთად კი ეკრაზე გამოტანილი ნახაზი. თუ მაჩვენებელი მივიდა სამუშაო ველის კიდემდე, თქვენ კი გსურთ კიდევ გამოაჩინოთ ნახაზი, მოხსენით თითი მარცხენა კლავიშზე, გადაადგილეთ მაჩვენებელი უკან და ისევ მარცხენა კლავიშზე თითის დაჭერით გამოაჩინეთ ნახაზი. ამგვარი მანიპულაცია შეგიძლიათ გაიმეოროთ რამდენჯერმე, მანამ სანამ არ გამოჩნდება საჭირო ფრაგმენტი.

აღსანიშნავია ის რომ თაგვის მაჩვენებლის გადაადგილებასთან ერთად სამუშაო ველზე მოძრაობს ნახაზი და როგორც პორიზონტალური ისე ვერტიკალური ლიფტები. შეგიძლიათ უშუალოდ ლიფტის საშუალებითაც გამოაჩინოთ ნახაზის საჭირო ფრაგმენტი, მაგრამ ბრძანებით Pan Realtime (პანორამა რეალურ დროში,) მუშაობა უფრო მოხერხებულია.

სტანდარტული იარაღების სტრიქონზე მონახეთ დილაკი Zoom Realtime (ზომების შეცვლა), დააყენეთ მასზე მაჩვენებელი და დააწაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე ერთჯერ. გადაიტანეთ. დააჭირეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე თითი და თითის მოუხსნელად მაჩვენებელი გადაადგილეთ ზევით და ქვევით. შეამჩნევთ რომ მაჩვენებლის მოძრაობის შესაბამისად ნახაზის მასშტაბი იზრდება ან მცირდება. თუ მაჩვენებელი მივიდა სამუშაო ველის კიდემდე, მოხსენით თითი კლავიშიდან, დასწიეთ უკან მაჩვენებელი, ხელახლა დააჭირეთ თითი მარცხენა კლავიშზე და გააგრძელეთ მასშტაბის ცვლა, მანამ სანამ არ მიიღებთ სასურველ ზომას. ეს მანიპულაცია შეგიძლიათ გაიმეოროთ რამდენჯერმე.

გამორიცხული არ არის, რომ მასშტაბის გადიდებით ნახაზის ფრაგმენტი გავიდეს სამუშაო ველის საზღვრებს გარეთ. მაშინ მაჩვენებელი დააწკაპუნეთ სტანდარტული იარაღების სტრიქონში მოთავსებულ ღილაკზე Pan Realtime (პანორამა რეალურ დროში), გადაადგილეთ ნახაზი ისე, რომ თქვენთვის საჭირო არ აღმოჩნდეს სამუშაო ველის ცენტრში და ისევ გაადიდეთ მასშტაბი ღილაკზე - Zoom Realtime თითის დაჭერით.

დიდი და რთული ნახაზის დათვალიერების დროს მოგიწევთ რამდენჯერმე გამოიყენოთ Zoom (ხედვა) ღილაკების ჯგუფი. ამ დროს ხელსაყრელია ისარგებლოთ სხვა ხერხით. მას შემდეგ რაც სტანდარტულ იარაღების სტრიქონში ჩართეთ ღილაკების ჯგუფი Zoom (ხედვა) და მასთან მუშაობთ, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დააწკაპუნოთ თაგვის მარჯვენა კლავიშზე, მაჩვენებლის გვერდით გამოჩნდება მოციმციმე მენიუ, იხილეთ ნახატი 1. 3., რომელსაც აქვს ბრძანებები Pan(პანორამა) და Zoom (ხედვა). (ამ შემთხვევაში ზომების შეცვლა). მუშაობის დროს აღნიშნული ბრძანებებიდან აქტიურ ბრძანებას უკენია აღამი. დააყენეთ მაჩვენებელი იმ ბრძანებაზე, რომელსაც აღამი არ უკენია და დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშზე. მენიუ დაიხურება და სამუშაო ველზე გამოჩნდება ამ ჯგუფიდან სხვა ბრძანება. როგორც ხედავთ დინამიური მენიუ ახდენს სტანდარტული იარაღების სტრიქონში მოთავსებულ, Zoom (ხედვა), ღილაკების მოქმედების დუბლირებას. ამ შემთხვევაში თაგვის მოძრაობით და მისი მარცხენა და მარჯვენა კლავიშების რიგრიგობითი ცვლილებით მოახდენთ ნახაზის თქვენთვის საინტერესო ფრაგმენტის სწრაფად მოძებნას და ეკრანზე მის გამოტანას სასურველი მასშტაბით.




ნახ. 1. 3. ღილაკების ჯგუფი Zoom (ხედვა)-ის დინამიკური მენიუ

არსებობს კიდევ უფრო მოხერხებული და სწრაფი ხერხი ნახაზის ზომების გასადიდებლად. სტანდარტული იარაღების სტრიქონში, Zoom (ხედვა) ღილაკების ჯგუფში არის ღილაკი Windows (ჩარჩო). შეიძლება რომ თქვენს კომპიუტერზე მის აღილას დაინახოთ სხვა ღილაკი. რომელი ღილაკიც არ უნდა იყოს, მის მარჯვენა ქვედა კუთხეში მოთავსებული იქნება პატარა შავი სამკუთხედი, რაც იმას ნიშნავს, რომ ღილაკს აქვს რამდენიმე შეცვლილი ფუნქცია.

დააყენეთ მაჩვენებელი ღილაკზე Window (ჩარჩო) და დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ. თუ მის ადგილზე მოთავსებულია სხვა ღილაკის გამოსახულება, დააყენეთ მაჩვენებელი მასზე, დააჭირეთ თითი მარცხენა კლავიშზე და არ აუშვათ თითი. ღილაკის ქვეშ გაჩნდება დამატებითი განშლადი იარაღების ჯგუფი. იხილეთ ნახატი 1. 4. მათგან ერთ-ერთია Windows (ჩარჩო). თითის მოუხსნელად გადაადგილეთ მაჩვენებელი ამ ჯგუფზე, აირჩიეთ საჭირო ღილაკი და შემდეგ მოხსენით თითი. არჩეული ღილაკის გამოსახულება დადაგება სტანდარტული იარაღების სტრიქონში

და მისი ფუნქცია გააქტიურდება. თქვენ მაშინვე შეგიძლიათ შეასრულოთ ამ დილაკის ფუნქციის შესაბამისი მოქმედება.



ნახ. 1. 4. მასშტაბის ცვლილების განშლადი იარაღების ჯგუფი

ჩარჩო

ჩარჩო არის ერთ-ერთი ხშირად გამოსაყენებელი ბრძანება. ბრძანება Widow(ჩარჩოთი) მონიშვნა საშუალებას იძლევა სამუშაო ველში მოთავსებული ნახაზის ნებისმიერი ფრაგმენტი, თაგვის გამოყენებით, მოაქციოთ მართვული ჩარჩოში. ჩარჩოს მდებარეობა და ზომა განისაზღვრება თაგვის მაჩვენებლით.

თაგვის მაჩვენებელი დააყენეთ ნახაზის მოსანიში ნაწილის ნებისმიერ კუთხეში და დააწერეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ. შემდეგ გადაადგილეთ მაჩვენებელი დიაგონალზე. სამუშაო ველზე მაჩვენებლის უკან გამოიჭიმება ჩარჩო, რომლის ზომებიც იცვლება თაგვის გადაადგილებით. მოაქციეთ ჩარჩოში ნახაზის ის ფრაგმენტი, რომელიც გაინტერესებთ და ისევ დააწერეთ მარცხენა კლავიშზე. პროგრამის მომდევნო რეაქცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ბრძანება იყო მოქმედებაში მოყვანილი ჩარჩოსთან მუშაობის დაწყების წინ. ვთქვათ გინდათ გაადიდოთ ნახაზის ნაწილი. მარცხენა კლავიშზე მეორედ დააწერეთ მაშინვე გადადგილება და დაიკავებს მთელ სამუშაო არეს.

თუ თქვენ დილაკთან, Window (ჩარჩო), მუშაობის დროს შემთხვევით დააწერეთ ორჯერ მარცხენა კლავიშზე, ისე რომ არ გადაადგილეთ მაჩვენებელი და არ აღნიშნეთ ფრაგმენტის მეორე კუთხე, ნახაზი შეიძლება გაქრეს ეკრანიდან. საშიში არაფერია, თქვენ ისე გაადიდეთ ნახაზი, რომ სამუშაო ველს გასცდა. დააყენეთ მაჩვენებელი სტანდარტული იარაღების სტრიქონში Zoom(ხედვა) ჯგუფის მეოთხე დილაკზე, Zoom Previous (წინას აღდგენა) და დააწერეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ.. ყველაფერი დაბრუნდება. უფრო დაწვრილებით ამ დილაკზე მოგვიანებით იქნება საუბარი. თქვენ უკვე შეგიძლიათ ნახაზის გადიდება, დაპატარავება და გადაადგილება რეალურ დროში. ახლა შეგიძლიათ ისწავლოთ ნახაზის ზომების შეცვლის რამდენიმე სასარგებლო ხერხი. თავდაპირველად ისწავლეთ ნახაზის სწრაფად შემცირება ისე, რომ შეძლოთ მთლიანად მისი დანახვა.

ამ მიზნით არსებობს რამდენიმე ბრძანება, მაგრამ ყველას მათ მივყევართ ერთნაირ შედეგამდე.

ზომების ცვლის კლავიშების ჯგუფიდან აირჩიეთ მესამე, რომლის ქვეშ იხსნება დამატებითი მენიუ იხილეთ ნახატი 1. 4., დააყენეთ მაჩვენებელი მასზე, დააჭირეთ თითო მარცხენა კლავიშზე და თითოს მოუხსნელად გადაადგილეთ მაჩვენებელი ქვევით, აირჩიეთ ღილაკი Zoom All (აჩვენე ყველა) და მოხსენით თითო მარცხენა კლავიშიდან. თქვენი ნახაზის გამოსახულება მაშინვე დაიკავებს მთელ ეკრანს..

ისევ აირჩიეთ მესამე კლავიში ზომების ცვლის კლავიშების ჯგუფიდან, დააჭირეთ მარცხენა კლავიშზე და თითოს მოუხსნელად გადაადგილეთ მაჩვენებელი დამატებით მენიუზე, აირჩიეთ ღილაკი Window (ჩარჩო), სამუშაო ველში არსებული ნახაზის ფრაგმენტი მონიშნეთ და გაადიდეთ, შემდეგ კი დააწაპუნეთ კლავიშზე Zoom previous (წინას აღდგენა). ნახაზი ისევ დაიკავებს მთელ სამუშაო ველს. ამ შემთხვევაში ნახაზის ზომები კი არ შეამცირეთ, არამედ დაუბრუნეთ წინა სახე (აღადგინეთ). ეს ძალიან სასარგებლო ღილაკია. მისი საშუალებით შეგიძლიათ თანდათანობით დაუბრუნოთ წინა სახე თქვენს ნახაზს. ამგვარი აღდგენა შეგიძლიათ არა უმეტეს ათი ბრძანებისა, მაგრამ პრაქტიკული მუშაობის დროს ეს სავსებით საკმარისია.

ახლა განვიხილოთ ნახაზის ფრაგმენტის სწრაფად არჩევისა და მთელი ნახაზის დათვალიერების კიდევ ერთი ხერხი. დააწაპუნეთ თაგვის მაჩვენებელი ზომების შეცვლის კლავიშების ჯგუფიდან ერთ-ერთ მათგანზე: Pan Realtime (პანორამა რეალურ დროში), ან Zoom Realtime (ზომების შეცვლა რეალურ დროში). გადაადგილეთ მაჩვენებელი სამუშაო ველზე და ნებისმიერად შეცვალეთ ნახაზის სახე, შემდეგ კი დააწაპუნეთ თაგვის მარჯვენა კლავიშზე. გაიხსნება თქვენთვის უკვე ნაცნობი მენიუ. იხილეთ ნახატი 1. 3. მიაქციეთ ყურადღება ქვედა სამ ბრძანებას:

Zoom Window (ჩარჩოთი დათვალიერება);

Zoom Previous (წინას აღდგენა);

Zoom Extents (საერთო ხედი).

ყველა ეს ბრძანება იმეორებს Zoom (ზომების ცვლის) ბრძანებათა ჯგუფის მოქმედებებს.

მონიშნეთ ბრძანება Zoom Window (ჩარჩოთი დათვალიერება). თაგვის მაჩვენებლის გეერდით გაჩნდება ჩარჩოს პირობითი ნიშნავი. დააყენეთ მაჩვენებელი ნახაზის თქვენთვის საინტერესო ადგილზე და დააწაპუნეთ მარცხენა კლავიშზე, მოაქციეთ ნახაზის ფრაგმენტი ჩარჩოში ისე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი. არჩეული ფრაგმენტი დაიკავებს მთელ სამუშაო ველს. ეკრანზე. ხელახლა დააწაპუნეთ მარჯვენა კლავიშზე, ისევ მიუთითეთ ბრძანება Zoom Window (ჩარჩოთი დათვალიერება) და გაადიდეთ ნახაზი. კიდევ ერთჯერ დააჭირეთ თაგვის მარჯვენა კლავიშზე, აირჩიეთ მენიუს ბრძანება Zoom Extents (საერთო ხედი), რის შემდეგაც დააწაპუნეთ მარცხენა კლავიშზე და თქვენი ნახაზი დაიკავებს ეკრანზე მთელ სამუშაო ველს.. შეგიძლიათ დამოუკიდებლად გაივარჯიშოთ, თაგვის მხოლოდ მარჯვენა კლავიშის გამოყენებით გამოიძახეთ დინამიკური მენიუ და მარცხენა კლავიშის საშუალებით კი შეასრულეთ ბრძანება, რის შედეგადაც შესძლებთ მრავალჯერ გაზარდოთ ან შეამციროთ ნახაზი.

ახლა საჭიროა გამოხვიდეთ პროგრამა AutoCAD-დან ისე, რომ არ გააფუჭოთ ის ნახაზი რომელთანაც მუშაობდით. ამ მიზნით დააწაპუნეთ AutoCAD –ის ფანჯრის ზედა მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ ნიშნავზე – x. პროგრამის შეკითხვაზე – გსურთ თუ არა შეცვლილის შენახვა - უპასუხეთ No- არა.


თავი 2

პირველი ნაბიჯები

გამოიყენეთ Windows - ის ცოდნა და შექმენით პირადი საქაღალდები. ამ საქაღალდები შეინახავთ თქვენს მიერ შექმნილ ისეთ ფაილებს, როგორიცაა შაბლონები ხაზის ტიპებისათვის, ხაზის ფერებისათვის, ფორმატებისათვის, ტექსტური ფაილები და ნახაზები. ტექსტური ფაილი ინახება გაფართოებით .rtf. ამ გაფართოების ფაილი შეგიძლიათ გამოიყენოთ AutoCAD- ში.

მუშაობის დაწყება

AutoCAD- ის ჩატვირთვის შემდეგ ეკრანზე ჩნდება დიალოგური ფანჯარა Start Up – გაშვება. იხილეთ ნახატი 2. 1.



ნახ. 2. 1. Startup (გაშვება) –ის დიალოგური ფანჯარა.

თუ თქვენს კომპიუტერში ეს დიალოგური ფანჯარა არ გამოდის, შეგიძლიათ გამოაჩინოთ, რისთვისაც შეასრულეთ ბრძანებათა შემდეგი მიმდევრობა:

1. აირჩიეთ მენიუდან ბრძანება Tools (იარაღები) → Options (ვარიანტები), გამოვა დიალოგური ფანჯარა Options (ვარიანტები);
2. გახსენით ჩანაცვლება System (მოწყობილობები);
3. მონახეთ ზონა General Options (ძირითადი ვარიანტები);
4. ამოირჩიეთ ალმების ველი Show StartUp Dialog (აჩვენე გაშვების დიალოგი) და დაუყენეთ ალამი;

5. მიეცით დასტური მაჩვენებლის OK კლავიშზე დაწკაპუნებით.
6. ამის შემდეგ AutoCAD-ის კონფიგურაციის შემდეგ აღნიშნული ფანჯარა AutoCAD -ის ფანჯარასთან ერთად გამოვა.

 თუ არ გინდათ რომ ეს ფაჯარა პროგრამის გაშვებისას კონფიგურაციის გამოდიოდეს შეგიძლიათ იმავე მიმდევრობით გახვიდეთ და აირჩიოთ Do not show a startup dialog და მისცეთ დასტური.

დიალოგური ფანჯარა Start Up (გაშვება) –ის აღწერა.

ეს არის ჩვეულებრივი დიალოგური ფანჯარა, რომელსაც აქვს დილაპები, გადამრთველები და კლავიშები, რომლებიც საშუალებას იძლევიან რომ AutoCAD –ში მუშაობა დაიწყოთ სხვადასხვანაირად, ესენია:

- Use a Wizard (კარნახის ოსტატის გამოყენებით);
- Use a Template (ნამზადის გამოყენებით);
- Start from Scratch (მუშაობის დაწყება სისტემის მიერ დაყენებული პარამეტრებით ანუ გაჩუმებით);
- Open a Drawing (არსებული ნახატის გახსნით).

Use a Wizard (კარნახის ოსტატის გამოყენებით), გთავაზობთ რომ იხელმძღვანელოთ პროგრამული კარნახით, ამ ვარიანტს არ განვიხილავთ.

Use a Template (ნამზადის გამოყენებით), ეს ფანჯარა ნაწილობრივ იცვლის თავის სახეს, ზონაში Select a template (ნამზადის არჩევა), გამოიტანება ნამზადების ბიბლიოთეკა.. მაჩვენებლისა და ლიფტის ვერტიკალური ზოლის დახმარებით შეგიძლიათ დათვალიეროთ ეს ბიბლიოთეკა, თან Previous (წინასწარ დათვალიერების) ფაჯარაში თვალი ადგვნოთ მცირე მასშტაბით გამოტანილ ნამზადს, აირჩიოთ თქვენთვის სასურველი და გახსნათ. ამ დროს მოქმედებაში აღმოჩნდება ყველა საწყისი დაყენებები, რომლებიც ჩაწერილია შაბლონში (ხაზის ტიპები, შრიფტები, ზომების სტილი, ფორმატები და სხვა).

თუ აირჩევთ Start from Scratch (მუშაობის დაწყება სისტემის მიერ დაყენებული პარამეტრებით), მაშინვე გახვალთ საშუალებების კლავიშე, რომელიც მზადაა მუშაობის დასაწყებად ნახატის იმ პარამეტრებით, რომლებიც ჩადებულია AutoCAD – ის პროგრამაში. ეს საწყისი დაყენებები შორსაა ЕСКД-ს მოთხოვნებიდან, ამიტომ ეს ვარიანტიც არ გაწყობთ.

Open a Drawing (არსებული ნახატის გახსნა) – მასზე დაწკაპუნებით გამოდის დიალოგური ფანჯარა Select a File (ფაილის არჩევა), სადაც ჩამოთვლილია თქვენს მიერ შექმნილი ფაილების სახელები, რომლებიც შეიცავენ თქვენს ნახატებს. აირჩევთ იმ ფაილს რომელთანაც გსურთ მუშაობა და მისცემთ დასტურს. არჩევის დროს აქაც გეხმარებათ ლიფტი და წინასწარი დათვალიერების ფანჯარა. თუ ფაილის არჩევის ფანჯარაში თქვენი ფაილი არ ჩანს, მაშინ გამოიყენეთ Browse (გაგიყვანით ფაილის არჩევაში) და მონახეთ სასურველი ფაილი.

მაშასადამე AutoCAD – ის ჩატვირთვის შემდეგ თუ აირჩევთ Use a Template (ნამზადის გამოყენება)-ს, უნდა მონიშნოთ შაბლონი და მისცეთ დასტური. თუ გსურთ ადრე შექმნილ ნახატთან მუშაობის გაგრძელება, მაშინ დააწკაპუნეთ დილაპზე Open a Drawing(არსებული ნახატის გახსნა), აირჩიეთ სასურველი ნახატი სიიდან ან მონახეთ დისკზე და მიეცით დასტური. თუ გინდათ ახალი ნახატის შექმნა, მაშინ დიალოგურ

ფანჯარაში - Start Up(გაშვება), მიეცით დასტური კლავიშზე Cancel(მოხსნა) დაწყაპუნებით, ფანჯარა დაიხურება და სტანდარტული იარაღებიდან დააწყაპუნეთ დილაკზე New(ახალი), გამოვა ცარიელი ფურცელი და შეგიძლიათ დაიწყოთ მუშაობა. შენიშვნა: გახსოვდეთ რომ შაბლონებთან და ნახაზებთან მუშაობის დროს თუ დაგჭირდათ აქტიური ფაილის დახურვა და ახლის გახსნა, პროგრამა გაძლევთ შეკითხვას – შევცვლილის შენახვა გინდათ თუ არა. ამ შეკითხვაზე სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ და ისე უპასუხოთ, მექანიკურად არ შეიძლება თანხმობა ან უარი, რადგან შეიძლება რამე გააფუჭოთ.

ფანჯრების წათლა

ინჟინრის შემოქმედება ყოველთვის შემოსაზღვრული იყო ЕСКД – ს სტანდარტების მკაცრი ჩარჩოებით, რომლითაც თითქმის ყველაფერი იყო რეგლამენტირებული, თვით ხაზებიც კი. ГОСТ 2.303-68 –ის თანახმად დასაშვები იყო ეხმარათ სხვადასხვა მოხაზულობის რამდენიმე ტიპისა და სისქის ხაზი (უწყვეტი, დაშტრიხების და ა. შ.). ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება ადვილი იყო, როცა იყენებდნენ ტუშს და კალკას, ხოლო სრულიად ახლახანს კი ბატმანზე ხაზავდნენ სხვადასხვა ფანჯრებით. ავტომატიზირებული დაპროექტების საშუალებების დანერგვამ აცПУ-სა და სხვა მოწყობილობებზე, მოითხოვა ЕСКД – ს ცალკეული ნაწილებიდან გადახვევა ნახაზის გაფორმების ნაწილში, რის შედეგადაც ნახაზმა დაკარგა წაკითხვისუნარიანობა. თანამედროვე ჭავლური და ლაზერული პრინტერების და პლოტერების საშუალებით ხდება ГОСТ –ების მოთხოვნების დაცვა განსაკუთრებული სიზუსტით, მაგრამ საჭიროა რომ კომპიუტერი აწყობილი იყოს შესაბამისად და პქონდეს სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა.

ნახაზების დასახაზად ГОСТ 2.303-68 –ის შესაბამისად დაყენებულია რამდენიმე სახის ხაზი სისქით 0,3 მმ –დან 1,5 მმ-დან, რომლებიც გამოიყენება პვეტისა და წყვეტის ადგილის მითითებით.

AutoCAD – ის ახალ ვერსიებში, კერძოდ AutoCAD 2000 – დან დაწყებული, პროგრამას აქვს საშუალება დააყენოთ ხაზების სისქე, მიუხედავად ამისა სასარგებლოა იცოდეთ ფენებთან მუშაობის ზოგიერთი მარტივი ოპერაცია, რადგან ხაზის სხვადასხვა სისქეებთან მუშაობის დროს ვერ გაექცევით ფენების გამოყენებას.


თქვენი ნახაზებისათვის გთავაზობთ რამდენიმე ტიპის ხაზს, ესენია: ძირითადი ხაზი – 0, 6 მმ სისქის, დასაშტრიხი ხაზი 0, 4 მმ სისქის, წვრილი ხაზი 0, 2 მმ სისქის. სურვილისამებრ შეგიძლიათ სხვა ტიპის ხაზების გამოყენებაც, მაგრამ გაითვალისწინეთ რომ 0, 2 მმ სისქეზე ნაკლების სისქის ხაზები ცუდად დუბლირდება გასამრავლებელ ტექნიკურ მოწყობილობებზე, ხოლო 0, 6 მმ სისქისა კი საკმაოდ უხეშად გამოიყერება თანამედროვე საბეჭდ მოწყობილობებზე.

ფენებთან მუშაობა

წარმოიდგინეთ რომ იდებთ ქაღალდის სუფთა ფურცელს და ქმნით თქვენი ნახაზისათვის კანვას (მიღლიმეტროვებას). თქვენთვის ეს იქნება Layer 0 (ნულოვანი ფენა), შემდეგ ზემოდან ადებთ გამჭვირვალე კალკას და მასზე გამოხაზავთ ნახაზის ერთ ნაწილს, ეს არის ფენა 1. ხელახლა ადებთ გამჭვირვალე კალკას და ხაზავთ ნახაზის სხვა ნაწილს და ა. შ. გააგრძელებთ მანამ სანამ არ მიიღებთ საჭირო ნახაზს სრულად. ნახაზის ფენებზე განლაგების სხვადასხვა ხერხი არსებობს. თუ ასაწყობი დეტალის ნახაზია, მაშინ უმჯობესია, რომ თითოეულ ფენაზე აისახოს

ერთი დეტალი, ცალკე ფენაზე შესრულდეს წარწერები, კიდევ ცალკე ფენაზე ზომები და ზომათა ხაზები. ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს ფანგაზიაზე და კონკრეტულ დავალებაზე. მთავარია რომ ფენებს მიანიჭოთ ნებისმიერი მნიშვნელობა და ფუნქციები. თქვენს შემთხვევაში ცალკეულ ფენას დაუნიშნავთ ხაზის სისქის თვისებებს.

AutoCAD – ის ფანჯარაში სტანდარტული იარაღების სტრიქონის ქვემოთ მოთავსებულია თვისებების ღილაკები. ამ ღილაკების დასაწყისში მონახეთ ღილაკი Layers (ფენები) და დააწერაპუნეთ მაჩვენებლით მასზე ერთჯერ, გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Layers & Linetype Properties (ფენებისა და ხაზების თვისებები). იხილეთ ნახატი 2. 7. გახსენით ჩანაცვლება Layer (ფენა), ფანჯარაში იქნება მხოლოდ ერთი ფენა 0 (ნულოვანი), მისი თვისებები დაყენებულია გაჩუმებით და არ უნდა შეცვალოთ. ამ ფენას როგორც წესი მუშაობის დროს არ იხმართ. მიეცით დასტური კლავიშზე OK დაწერუნებით და დაიხურება დიალოგური ფანჯარა.




ნახ. 2. 2. ფენებისა და თვისებების მენეჯერის დიალოგური ფანჯარა

გაიხსენეთ სამუშაო ველზე ახალი ფურცლის გამოტანა, რისთვისაც სტანდარტული იარაღების სტრიქონიდან აირჩიეთ ღილაკი New (სუფთა ფურცელი) და მაჩვენებლით დააწერაპუნეთ მასზე ერთჯერ. თუ სისტემა შეგვეითხებათ Save Changes to (შეცვლილი ნახაზი შეინახოს თუ არა), უპასუხეთ არა. გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში Start from Scratch (პარამეტრების დაყენება გაჩუმებით) მიეცით დასტური კლავიშზე OK დაწერუნებით. ეკრანზე იქნება სუფთა ფურცელი და გააგრძელებთ მუშაობას.

დააწერაპუნეთ კლავიშზე Layers (ფენები), ეპრანზე გამოვა დიალოგური ფანჯარა Layer Properties Manager (ფენებისა და ხაზების თვისებები), მონახეთ კლავიში New(ახალი) ნულოვანი ფენის ქვეშ გაჩნდება ახალი სტრიქონი სახელით Layer 1(ფენა 1), ეს სტრიქონი არის დამხმარე სტრიქონი ახალი ფინის ასაგებად. ამ ფენას არ მისცეთ ხაზის სიგანე, მასში გამოყავით მხოლოდ ფერი, რისთვისაც დააწერუნეთ სვეტში C (შემოკლებული Color (ferebi)-იდან) თეთრ კვადრატზე. ამ კვადრატზე

დაწყაპუნებით გამოვა ისევ დიალოგური ფანჯარა Select Color (ფერების არჩევა), იხილეთ ნახატი 2. 3. აირჩიეთ ნაცრისფერი კვადრატი და დააწყაპუნეთ მასზე.



ნახ. 2. 3 . ფერების არცევის დიალოგური ფანჯარა


ფერების ფანჯარაში გამოჩენდება მონიშნული ფერის ნომერი (ჩვენს შემთხვევაში 8), მის გვერდით იქნება ეს ფერი, მიეცით დასტური არჩეულ ფერს და ის ჩამაგრდება ფენაში. ანალოგიურად მოიყვანეთ მოქმედებაში კიდევ სამი ფენა. მაჩვენებლით დაწყაპუნეთ Layer 2- ფენა 2-ის წარწერაზე, გამოიყენეთ ტექსტურ რედაქტორთან მუშაობის მეთოდი და შეცვალეთ სახელი ახალი სახელით: 1- ძირითადი-06. 1 - შეესაბამება ფერების პალიტრაში ფერს, იგი გამოგადგებათ პრინტერის აწყობის დროს. დასახელება ძირითადი - ასახავს ხაზის მთავარ დანიშნულებას, ხოლო 06 მეტყველებს მის სისქეზე. უკანასკნელი ციფრის საშუალებით AutoCAD 2000 - ში დაინიშნება მზა ნახაზზე შესაბამისი ხაზის სისქე. ანალოგიურად მოიყვანეთ მოქმედებაში კიდევ ორი ფენა, მიეცით სახელი 5-დასაშტრიხი-04 და 7-წვრილი, ტექსტური-02. ფერების დიალოგურ ფანჯარაში დააყენეთ შესაბამისად მწვანე და ცისფერი.

ფერების დასახელებაში AutoCAD 2004 ყოველთვის არ აიდებს მძიმეს და დიდ სახელს, ამიტომ მძიმის მაგიერ იხმარეთ ხაზის ქვეშ გასმა და სახელის შემოკლება.

ფერები (მწვანე, ყვითელი და ცისფერი) არჩეულია იმისათვის, რომ ისინი განსხვავდებოდნენ და არ გადაედალოს თვალი მომხმარებელს. ფერები შეგიძლიათ თვითონ განსაზღვროთ.

ხაზის ტიპების დასაყენებლად, ფერების დიალოგურ ფანჯარაში მონახეთ ჩანაცვლება Linetipe(ხაზის ტიპები), მის ქვედა სტრიქონზე სადაც წერია continuous დააყენეთ მაჩვენებელი და დაწყაპუნეთ მასზე ერთჯერ, გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Select linetype(ხაზის ტიპების არჩევა), იხილეთ ნახატი 2. 4. დიდ ფანჯარაში


დაინახავთ სამი ტიპის ხაზეს. ჯერ არ დავაზუსტებოთ მათ განსხვავებებს, თქვენთვის ისინი უწყვეტი ხაზებია. მონახეთ დილაკი Load (ჩატვირთვა) და დააწერეთ მასზე.



ნახ. 2 4. დიალოგური ფანჯრის ჩანაცვლება - ხაზის ტიპების არჩევა.

გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Load or Reload Linetypes(ხაზის ტიპის ჩატვირთვა ან მოშლა). იხილეთ ნახატი 2. 10. ლიფტის საშუალებით დაათვალიერეთ ხაზის ტიპები, დასაწყისისათვის აირჩიეთ მხოლოდ ოთხი ტიპი:

Acad – iso 02w100;
Acad – iso 04w100;
Acad – iso 10w100;
Center.



ნახ. 2. 5. ხაზის ტიპების ჩატვირთვა/ამოტვირთვის დიალოგური ფანჯარა

Windows - ში მუშაობის მეთოდით მონიშნეთ ხაზის ეს ტიპები ამორჩევით (ctrl-ის საშუალებით), შემდეგ კი მიეცით დასტური, მომდევნო ფანჯარაშიც მიეცით დასტური კიდევ, ე. ი. მიმდევრობით უნდა დახუროთ ყველა ფანჯარა კლავიშზე OK დაწკაპუნებით. ამგვარად ფენებისა და ხაზის ტიპების დაყენება დამთავრებულია და შეგიძლიათ შეუდგეთ ხაზვას, მაგრამ ჯერ არ დაიწყებთ ხაზვას, რადგან ეს იყო ვარჯიში და ამიტომ არ შეინახავთ. დახურეთ და შეკითხვაზე შეინახოს თუ არა უპასუხეთ არა.

წარწერების შესრულება

AutoCAD -ის ნებისმიერი ვერსია საშუალებას იძლევა სწრაფად და პროფესიულად შეასრულოთ ნებისმიერი წარწერა საკონსტრუქტორო საბუთში. დიდი წარწერები სასურველია მოამზადოთ ტექსტურ რედაქტორში Word -ში, შემდეგ კი დამუშავებული ტექსტი გადაიტანოთ AutoCAD - ის პროგრამაში.

AutoCAD -ის შემადგენლობაში შედის 30 – მდე საკუთარი შრიფტი, რომლებიც ჩაწერილია ფაილებში გაფართოებით .shx. მომხმარებელს შეუძლია სურვილისამებრ დაამატოს სხვა შრიფტები, დასაშენებია ტექსტური რედაქტორის შრიფტები. გაჩუმებით პროგრამა AutoCAD - ი იყენებს შრიფტებს Txt.shx, რომელიც მარტივია, სიმარლით 2, 5 მმ.

ტექსტთან მუშაობა

ერთსტრიქონიანი ტექსტი

შეასრულეთ ბრძანება მენიუდან Draw(ხაზვა)→Text(ტექსტი)→Single Line Text(ერთსტრიქონიანი ტექსტი) ბრძანებით სტრიქონში იწერება ბრძანება, რომელიც ითხოვს რომ დააფიქსიროთ წარწერისათვის საწყისი წერტილი. მაჩვენებელი დაყენეთ თავისუფალ ადგილზე და დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშზე, შემდეგ ორჯერ დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა). შრიფტი აიღება გაჩუმებით და პროგრამა ელოდება ტექსტის შეტანას კლავიატურიდან. შეიტანეთ კლავიატურიდან ნებისმიერი სიტყვა. ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება აკრეფილი ტექსტი, ხოლო სამუშაო ველში კი სტრიქონი, მაგრამ ეს სტრიქონი იქნება ისეთი პატარა რომ წაკითხვა გაგიჭირდებათ. დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა) ორჯერ, ბრძანებით სტრიქონში დაინახავთ სიტყვას Command(ბრძანება), მხოლოდ ახლა შეგიძლიათ გამოიყენოთ Zoom (მასშტაბის ჯგუფის) ბრძანებები.

შენიშვნა: გაითვალისწინეთ რომ AutoCAD - ში ტექსტთან მუშაობის დროს ზოგი ბრძანება, მაგალითად (Zoom)ხედი, არ მუშაობს. გარდა ამისა თაგვის მარცხენა კლავიშზე დაწკაპუნება ყოველთვის არ შეესაბამება Enter - ზე დარტყმას, ამიტომ ბრძანებები შეასრულეთ მითითებულ კლავიშებზე დარტყმით, ხოლო ტექსტთან მუშაობის დასამთავრებლად კი ორჯერ დაარტყით კლავიზშე Enter, რის შემდეგაც ბრძანებით სტრიქონში დაიწერება Command(ბრძანება).


ახლა ისარგებლეთ Zoom(მასშტაბის დილაკების ჯგუფის) ბრძანებით Window(ჩარჩო). თქვენი წარწერა მონიშნეთ ჩარჩოთი და გადიდდება. თუ გსურთ სხვა

სიტყვა დაწერეთ მის გვერდით და დარწმუნდებით, რომ შრიფტი Txt.shx, რომელიც გაჩუქრებით აიღო პროგრამამ საკმაოდ მარტივია და გამოიყენება მირითადად ესკიზებისათვის ან სამუშაო კელზე შენიშვნებისათვის. ЕСКД -ს მოთხოვნებისათვის ეს შრიფტი არ გამოიყენება.

ამიტომ შემდგომი მუშაობის დროს უნდა დააყენოთ საჭირო შრიფტები, შექმნათ ტექსტის სტილი, რომელიც განსაზღვრული იქნება კონკრეტული ნახატისათვის. ეს სტილი შეგიძლიათ გადაკეთოთ, დაუმატოთ ან მოაკლოთ რამე, მაგრამ ნახაზი რომლისთვისაც შექმნით ეს სტილი, ყოველთვის გამოიყენებს მას. ამგვარად ყოველი ნახატისათვის მოგიწევთ ასეთი სტილის შექმნა, რაც მოუხერხებელია. წინასწარ დაგამშვიდებთ რომ არაფერია საგანგაშო, რადგან შემდეგში ისწავლით შაბლონის შექმნას, სადაც ჩაწერთ საჭირო ტექსტურ სტილებს და მის გამოყენებას, რაც თავიდან აგაცილებთ ცალკეული ნახატისათვის ტექსტური სტილის შექმნის პროცედურას.

მოამზადეთ რამდენიმე შრიფტი და დაუმატეთ პროგრამაში არსებულ Txt სტილს, რისთვისაც შეასრულეთ შემდეგი მიმდევრობა:

აირჩიეთ მენიუდან ბრძანება Format (ფორმატი)→Text Style(ტექსტის სტილი), ეკრანზე გამოვა დიალოგური ფანჯარა Text Style(ტექსტის სტილი), იხილეთ ნახატი 2. 7.



ნახ. 2. 7. დიალოგური ფანჯარა Text Style (ტექსტის სტილი).

გახსენით Style Name(სტილის სახელის) სია და ნახეთ მასში არსებული სტილის სია. კლავიშით New(ახალი) შეგიძლიათ დაამატოთ ახალი სტილი, დაარქვათ სახელი, სიის კელში Font Name(შრიფტის სახელი), აირჩიეთ თქვენთვის საჭირო ფონტი, კელში Height(სიმაღლე) და Width Factor (სიგანე) დააყენეთ საჭირო ასოების სიმაღლე და მათ შორის დაშორება, თუ საჭიროა რამე კუთხით დახრა მიუთითეთ კელში Oblique Angle(დახრის კუთხე), ზონაში Effects (ეფექტები) სარკისებური ასახვისათვის არის სხვადასხვა შემთხვევა, კერძოდ Upside down(სარკე

პორიზონტალურადაა), Backward(სარკე ვერტიკალურადაა) და Vertical(ასოები ვერტიკალურად განლაგდებიან), დაუყენეთ ალამი საჭირო პარამეტრებს, Previous(წინასწარ ნახვის) ფანჯარაში დააკვირდით ფონტების განლაგებას არჩეული პარამეტრების შემდეგ და თუ გაკმაყოფილებთ შედეგი დააწერეთ კლავიშები Apply (შესრულება), შექმნილი სტილი შეინახეთ. Text Style (ტექსტის სტილი)-ის დიალოგურ ფანჯარას, გარდა კლავიშების New(ახალი), აქვს კლავიშები Rename (სახელის შეცვლა) და Delete(წაშლა), რომელთა საშუალებით ხდება შესაბამისად არსებული სტილის სახელის შეცვლა ან წაშლა.


თუ არ გსურთ ტექსტის სტილის შექმნა და მის გარეშე გინდათ ისარგებლოთ განსხვავებული ფონტით შეასრულეთ ბრძანებების მიმღევრობა:

მენიუდან აირჩიეთ ბრძანება Format(ფორმატი) → Text Style(ტექსტის სტილი), გამოვა დიალოგური ფანჯარა Text Style(ტექსტის სტილი), მონახეთ Font Name (ფონტების სახელები), გახსენით ფონტების სია პატარა სამკუთხედზე დააწერეთ, მონახეთ და აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ფონტი, ფონტის მონიშვნის შემდეგ გააქტიურდება დილაკი Apply(შესრულება), დააწერეთ მაჩვენებლით ლილაკზე Apply(შესრულება), რის შედეგადაც დაყენდება არჩეული ფონტი.

მრავალსტრიქონიანი ტექსტი

ამ ბრძანებით მუშაობის დროს სტრიქონების რაოდენობა შეზღდუდული არ არის. ტექსტის ფორმირება ხდება ისე, როგორც ჩვეულებრივ ტექსტურ რედაქტორში.

გახსენით ახალი სამუშაო ველი, იარაღების ჯგუფში მონახეთ დილაკი Multiline Text (მრავალსტრიქონიანი ტექსტი) და დააწერეთ მასზე მაჩვენებლით. გადააადგილეთ სამუშაო ველზე მაჩვენებელი, რომელსაც აქვს ჯვრის ფორმა, დააჭირეთ თაგვის მარცხენა კლავიშს თოთი, მოხაზეთ ჩარჩო და დააწერეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ. ჩარჩოს მოხაზვის შემდეგ ეკრანზე გამოვა დიალოგური ფანჯარა Multiline Text Editor (მრავალსტრიქონიანი ტექსტის რედაქტორი). იხილეთ ნახ. 2. 8.



ნახატი 2. 8. მრავალსტრიქონიანი ტექსტი

რედაქტორი მზად არის ტექსტის შესატანად. დიალოგური ფანჯარა შეიცავს ოთხ სიას. მათგან პირვალია Style (სტილი), მომდევნო სიაში ჩანს ამჟამად დაყენებული შრიფტი, რომელთანაც მუშაობდა მომხმარებელი ბოლო დროს. გახსენით ფონტების სიის ველი, ამოირჩიეთ სასურველი შრიფტი და დააწერეთ მასზე, არჩეული ფონტი დადგება ფანჯარაში, მის გვერდით კი მიუთითეთ საჭირო ზომა, მაგრამ თუ აუცილებელი არ არის, ეს ჯერ არ გააკეთოთ, რადგან თქვენ შექმნით ტექსტის სტილი და საჭიროა ამ სტილით მუშაობა. გახსენით სია Style (სტილი) და

მასში აირჩიეთ ერთ-ერთი სტილი, დააწერებუნეთ თაგვის მაჩვენებელი ტექსტური რედაქტორის ფანჯარაზე, ტექსტური კურსორის ციმციმი მიგანიშნებთ რომ დროა აკრიფოთ ტექსტი. თუ ადრე ტექსტური სტილი არ გქონდათ შექმნილი, მაშინ გაჩუმებით აიღება სტანდარტული შრიფტი Txt.shx., სიმაღლით 2,5 მმ.

ტექსტის შეტანა და ფორმირება ისევე ხდება როგორც ნებისმიერ ტექსტურ რედაქტორში. ტექსტის ყოველი სტრიქონის სიგანე მიაღწევს ნახაზზე შემოსაზღვრულ ჩარჩოს. ტექსტური კურსორი მივა რა მიმდინარე სტრიქონის ბოლომდე, ავტომატურად გადადის ახალი სტრიქონის დასაწყისში. შეცდომების გასწორებაც ისე ხდება როგორც ტექსტურ რედაქტორში, ამიტომ მასზე ოქენეს ყურადღებას ადარ შევაჩერებ.

ადსანისნავია მრავალსტრიქონიანი ტექსტის რედაქტორის ერთი სასარგებლო თვისება. გახსენით ფონტების სია, მონახეთ მასში Symbol (სიმბოლოები) და დააწერებუნეთ მასზე. გააქტიურდება სიმბოლოები და შეგიძლიათ ნებისმიერი სიმბოლოს აკრეფა. მაგ. გრადუსის ასაღებად აკრცეთ %% და შემდეგ კი დაარტყით თითო D-ასოზე, ხოლო დიამეტრის ასკრეფად დაარტყით თითო კლავიშზე F.

ტექსტში საჭირო სიმბოლოს ჩასადგმელად, საკმარისია დააყენოთ მასზე მაჩვენებელი და დააწერებუნოთ ერთჯერ. გაითვალისწინეთ რომ ზოგი სიმბოლო ტექსტურ ჩარჩოში შეიძლება გამოტანილი იქნეს როგორც ნიშნების ერთობლიობა, მაგრამ აქ საგანგაშო არაფერია, რადგან ნახაზზე გადატანილ ტექსტში სიმბოლოები აისახება ნორმალურად.


თავი 3

3. 1. შაბლონები

AutoCAD - ის პროგრამასთან მუშაობა ითვალისწინებს ახალი ნახაზისათვის ძირითადი პარამეტრების განსზღვრას, რაც მოითხოვს საქმაო დროს და მზა ფორმატებისა და შაბლონების გამოყენების ცოდნას. პროგრამა AutoCAD-ი შეიცავს დიდი რაოდენობით სხვადასხვა შაბლონებსა და ნამზადებს, მაგრამ ისინი არ შეესაბამებიან ECKD-ს სტანდარტებს. ამიტომ თქვენ თვითონ უნდა შექმნათ შაბლონები, ფორმატები და ნამზადები, რომლებიც შემდეგ გაგიადვილებთ პრაქტიკულ მუშაობას. ე. ი. უნდა გქონდეთ თქვენი პატარა ბიბლიოთება.

შაბლონის შექმნა

პირველი შაბლონი, რომელსაც შექმნით შეიცავს ხაზების პარამეტრებს და შრიფტებს, რომლებსაც ხშირად გამოიყენებთ ნახაზებში.



ნახ. 3. 1. ფენების თვისებების მენეჯერის დიალოგურ ფანჯარაში ფენის დაყენება.

ჩატვირთეთ პროგრამა AutoCAD -ი , ეკრანზე გაჩნდება დიალოგური ფანჯარა Start Up (გაშვება). დააწყვენეთ ღილაკზე Start from Scratch (პარამეტრის დაყენება გაჩუმებით) და მიეცით დასტური. ეკრანზე გაჩნდება სუფთა სამუშაო ველი და შეგიძლიათ მუშაობის დაწყება.

ობიექტების თვისებების სტრიქონში მონახეთ ღილაკი Layers(ფენები) და დააწყვენეთ მასზე თაგვის მაჩვენებლით ერთჯერ. ეკრანზე გამოვა დიალოგური ფანჯარა Layer & Linetype Properties(ფენებისა და ხაზების თვისებები). დააყენეთ მაჩვენებელი კლავიშზე New(ახალი) და ოთხჯერ დააწყვენეთ მასზე მარცხენა კლავიშით. ფენების ფანჯარაში გაჩნდება ხუთი ფენი Layer0 – დან Layer4 –ის ჩათვლით. იხილეთ ნახ. 3. 1.

გაიხსენეთ ფენების სახელებისა და ფერების დაყენება, ისარგებლეთ ცხრილით 3.1, სადაც მოცემულია ხაზების სახელები, ფერები სტანდარტების შესაბამისად და შეასრულეთ პარამეტრების დაყენება.

ფენების პარამეტრებისათვის რეკომენდაციები


ცხრილი 3. 1

Name - ფენის სახელი	Color - ფერი
0	white-თეთრი
1-ძირითადი-06	yellow-ყვითელი
5-დასაშტრიხი-04	green-მწვანე
7-წრილი, ტექსტ-02	cyan-ცისფერი
Layer1	№ 8-ნაცრისფერი

ფენების განსაზღვრის შემდეგ გახსენით ჩანაცვლება Linetype(ხაზის ტიპები), რისთვისაც მაჩვენებლით დააწყვენეთ Continuos-ზე, გამოვა დიალოგური ფანჯარა Select Linetype(ხაზის ტიპების არჩევა), მონახეთ კლავიში Load(ჩატვირთვა), ფანჯარაში გაჩნდება სხვადასხვა ტიპის ხაზების ჩამონათვალი, აირჩიეთ და მონიშნეთ შემდეგი ტიპის ხაზები:


- Acad_Iso 02w100;
- Acad_Iso 04w100;
- Acad_Iso 10w100;
- Center.

თუ არჩევის დროს შეცდომით მონიშნეთ ხაზი, რომელიც არ გჭირდებათ, მაშინ დააწყვენეთ Shift+მარცხენა კლავიშზე და მონიშვნა მოეხსნება. ხაზების არჩევისა და მონიშვნის შემდეგ მიეცით დასტური კლავიშზე OK დაწყვენებით, ისევ გამოვა ფენებისა და ხაზის თვისებების დიალოგური ფანჯარა, რომელშიაც დამატებული იქნება თქვენს მიერ მითითებული ხაზები. ახლა ამ ფანჯარაში მიეცით დასტური და ფენების თვისებების დაყებება დამთავრდება. დაარქვით სახელი მაგ. laier_shablon და შეინახეთ.



ნახ. 3. 2. დაყენებულია სასურველი ფენები.

სამუშაო მაგიდაზე იქნება ისევ სუფთა სამუშაო ველი. დახედეთ თვისებების სტრიქონში Color Control(ფერების მართვის) ფანჯარას, იხილეთ ნახატი 3. 3. მისი საშუალებით შიძლება ფენების ფერის შეცვლა, მაგრამ უმჯობესია ეს არ გაკეთოთ, რადგან შეგექმნებათ პრობლემები ნახაზის ბეჭდვის დროს. გახსოვდეთ ამ ფანჯარაში უნდა იდგეს ტექსტი ByLayer-ფენებით.



ნახ. 3. 3. ფერების, ხაზის ტიპებისა და ხაზის სისქის მართვის ფანჯარა

შრიფტების დაყენება.

შრიფტების დასაყენებლად შეასრულეთ ბრძანებების მიმდევრობა:
Format(ფორმატი) → Text Style (ტექსტის სტილი), ეკრანზე გამოვა დიალოგური ფანჯარა Text Style (ტექსტის სტილი), მონახეთ კლავიში New(ახალი) და დააწერეთ მასზე, შემდეგ კი დააყენეთ ხუთი ტექსტური სტილი ცხრილ 3. 2 -ში მოყვანილი პარამეტრების მიხედვით.

შრიფტის პარამეტრების დაყენების შემდეგ დააწერეთ ჯერ დილაკზე Apply(შეასრულეთ) და შემდეგ კი დილაკზე Close(დახურეთ).


ტექსტური სტილის დაყენებისათვის რეკომენდაციები
ცხრილი № 3. 2

Style Name სტილის სახელი	Font Name შრიფტის სახელი	Height სიმაღლე	Width Factor სიგანგ	Oblique Angle დახრა
1.	Simplex.shx	2,5	0,8	15
2.	Times New Roman Cyr	2,5	0,9	0
3.	Times New Roman Cyr	3,5	1	0
4.	Courier New Cyr	5	1	0
5.	Courier New Cyr	5	0,7	0

ბიჯი, ბადე, ორთოგონალური

Snap(ბიჯი), Grid (ბადე) და Ortho (ორთოგონალური) რეჟიმები გამოიყენებიან ხაზების დროს და უზრუნველყოფების თაგვის მაჩვენებლის დისკრეტულობას:

- Snap (ბიჯი) - სამუალ ველზე თაგვის მაჩვენებლის გადაადგილების დროს, იგი იკავებს ბიჯით განსაზღვრულ მდებარეობას. თუ მითითებულია ბიჯი მაგალითად 10, მაშინ თქვენ შეგიძლიათ ხაზოთ ნახაზის ელემენტები იმ ზომით, რომელიც 10 -ის ჯერადია;
- Grid (ბადე) – სამუშაო ველზე აისახება ბადე არჩეული ბიჯით. ეს ბადე არის დამხმარე საშუალება, თაგვის მაჩვენებლის გადაადგილებაზე არ მოქმედებს და ნახაზზე არ აისახება. ამ რეჟიმში მუშაობა გახსენებოთ მილიმეტროვგაზე მუშაობას;
- Ortho (ორთოგონალური) – თაგვის მაჩვენებლით შესრულებული ყველა აგება და სამუშაო ეკრაზზე გადაადგილება, სრულდება მხოლოდ საკოორდინატო ღერძების პარალელურად და არ არის დამოკიდებული მაჩვენებლის მოძრაობაზე.



ნახ. 3. 4. მდგომარეობის სტრიქონი რეჟიმების დილაკებით.


აღნიშნული რეჟიმების ჩართვისა და გამორთვისათვის გამოიყენება მდგომარეობის სტრიქონში არსებული დილაკები. იხილეთ ნახატი 3. 4 პროგრამა AutoCAD 2005 -ის რეჟიმების დილაკები.

ამ დილაკების ჩართვა/გამორთვა ხდება მათზე თაგვის მაჩვენებლის დაყენებით და თაგვის მარცხენა კლავიშზე ერთჯერ დაწკაპუნებით. გარდა ამისა შეგიძლიათ ისარგებლოთ კლავიატურის ფუნქციონალური კლავიშებით: F9- ბიჯის რეჟიმი, F7 - ბადის რეჟიმი და F8 - ორთოგონალური რეჟიმი. ORTO(ორთოგონალური) რეჟიმით სარგებლობისას გაითვალისწინეთ

რომ მონაკვეთები იხაზება საკორდინაცო დერძების პარალელურად, რის გამოც დახრილ ხაზებს ვერ გაავლებთ. დახრილი ხაზების გასავლებად ეს რეჟიმი გამორთული უნდა იყოს.

პროგრამა AutoCAD – ში ბიჯის და ბადის რეჟიმების დასაყენებლად შეასრულეთ ბრძანებების შემდეგი მიმდევრობა:

აირჩიეთ მენიუდან ბრძანება Tools(იარაღები) → Drafting Settings(ხაზის დაყენებები). გახსენით ჩანაცვლება Snap and Grid (ბიჯი და ბადე), რომელშიც მოახდენოთ სათანადო პარამეტრების დაყენებას. იხილეთ ნახატი 3. 5.




ნახ. 3. 5. დიალოგური ფანჯარა Drafting Settings (ნახაზის ესკიზის შექმნა)??

ნახაზის შექმნის დროს ძალიან მოხერხებულია, რომ ნახაზის ველის სახასიათო საკვანძო ადგილებში დასვათ წერტილები, რომლებიც წარმოადგენენ საბაზო წერტილებს. აირჩიეთ და დაამატეთ თქვენს შაბლონს გარკვეული სტილის წერტილები, რისთვისაც შეასრულეთ შემდეგი მიმდევრობა:

მენიუდან აირჩიეთ ბრძანება Format (ფორმატი) → Point Style(წერტილების სტილი), ეკრანზე გამოვა დიალოგური ფანჯარა Point Style(წერტილების სტილი), რომელშიც ასახულია სხვადასხვა სახის წერტილები იხილეთ ნახ. 3. 6.

აირჩიეთ მათგან რომელიმე, რისთვისაც დააყენეთ მაჩვენებელი წერტილის სასურველ სახეზე და დააწაპუნეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ. შემდეგ მონახეთ წარწერა Set Size Relative to Screen (ეკრანის შესაბამისი ზომით დაყენება) და დააყენეთ ალამი. ეს დაყენება გულისხმობს რომ ხაზის დროს ნახაზის მასშტაბის ნებისმიერი ხარისხის შეცვლისას, წერტილის პირობითი სახე და ზომა დარჩება უცვლელი.

თუ ალამს დაუყენებოთ წარწერას Size in Absolute Units (აბსოლუტურ ერთეულებში ზომების დაყენება), მაშინ წერტილის ზომა არ იქნება დამოკიდებული ნახაზის გადიდებისა და შემცირების ხარისხზე, ხოლო ჭეშმარიტი (აბსოლუტური) ზომა იქნება წერტილის სტილის დიალოგურ ფანჯარაში დაყენებული წერტილის ზომის ტოლი.



ნახ. 3. 6. Point Style(წერტილის სტილი) -ის დიალოგური ფანჯარა.

ნახაზის შენახვა

ნახაზი რომ შემთხვევით არ დაგეკარგოთ საჭიროა შეინახოთ კინჩესტერზე, რისთვისაც შეასრულეთ ბრძანებების შემდეგი მიმდევრობა:


- აირჩიეთ მენიუდან ბრძანება File(ფაილი) Save(შენახვა) გამოვა დიალოგური ფანჯარა Save drawing as (ნახაზის შენახვა სად და როგორ);
- მონახეთ ან შექმნით საჭალალდე, სადაც შეინახავთ თქვენს ნახაზებს;
- დააყენეთ კურსორი ტექსტურ ველში File Name(ფაილის სახელი) და დაარქვით ნახაზს სახელი;
- დახედვით მის ქვემოთ მოთავსებულ სიას, სადაც უნდა ეწეროს ფაილის გაფართოება, თქვენს შემთხვევაში .dwg, რაც იმას ნიშნავს რომ ნახაზი შეინახება როგორც AutoCAD-ის ნახაზი და მიეცით დასტური კლავიშზე OK თითის დარტყმით.

თავი 4

4.1. ხაზისა და მოდიფიკაციის ღილაკები, მათი მოხმარების წესები

AutoCAD-ის პროგრამაში გამოყენებულია უამრავი ღილაკები: Draw(ხაზი), Modify(მოდიფიკაცია), Dimension(ზომების), Object Snap, Layers(ფენები) და სხვა. ერთდროულად მათი ეკრანზე მოთავსება გამოიწვევს ეკრანის გადატვირთვას და სამუშაო ველის შემცირებას. ამიტომ ეკრანზე აყენებთ იმ იარაღებს რომლებიც გჭირდებათ უშუალოდ კონკრეტული ნახაზის შესრულების დროს, სხვები კი გამორთულია. ღილაკების ეკრანზე გამოსატანად შეასრულეთ შემდეგი მიმდევრობა:

აირჩიეთ მენიუს ბრძანება Tools(ღილაკები) → Customize(მომხმარებელი) → Toolbars(ღილაკები) და დააწყაპუნეთ მასზე მახვენებლით, გამოვა დიალოგური ფანჯარა Customize(მომხმარებელი), გახსენით ჩანაცვლება Tools(ღილაკები), იხილეთ ნახ. 4. 1.



ნახ. 4.1. დიალოგური ფანჯარა Customize(მომხმარებელი)

ველში Toolbars(ღილაკები) მოთავსებულია ღილაკების ჩამონათვალი. მათგან ზოგიერთს უყენია ალამი და ზოგს კი არა. ის ღილაკები, რომლებსაც უყენიათ ალმები ჩანან ეკრანზე, ხოლო რომლებსაც ალმები არ უყენიათ ისინი არ ჩანან. თქვენთვის სასურველ რომელიმე იარაღს დაუყენეთ ალამი, დაინახავთ რომ ეკრანზე გამოჩნდება თქვენს მიერ არჩეული ღილაკები პატარა ფანჯრის სახით. შეგიძლიათ გადაათრიოთ ეს ფანჯარა თქვენთვის ხელსაყრელ ადგილზე და მოათავსოთ.

ეკრანზე თუ უკვე გაქვთ მოთავსებული ხაზის ღილაკები გაგეცნოთ მათ მოხმარებას, თუ არა გაქვთ მაშინ ჯერ გამოაჩინეთ ეს ღილაკები და შემდეგ შეუდექით მათ გაცნობას.

ხაზის დილაკების ჩამონათვალი და მათი გამოყენება

	Line	მონაკვეთი
	Construction Line	საკონსტრუქტო წრფე
	Revcloud	ზოგზაგი
	Polyline	ტებილი
	Polygon	მრავალ-კუთხედი
	Rectangle	მართკუთხედი
	Arc	რკალი
	Circle	წრეწირი
	Spline	კლავნილი
	Elipse	ელიპსი
	Insert Block	ძლოვის ჩასმა
	Make Block	ძლოვის შექმნა
	Point	წერტილი
	Hatch	დაშტრიხვა
	Region	არეალი
	Multline Text	ტექსტი

მონაკვეთი

ხაზის დილაკების პანელზე მონახეთ Line (მონაკვეთი). ამ დილაკით მუშაობისას საჭიროა მონაკვეთის საწყისი და ბოლო წერტილების დაფიქსირება. დილაკზე - Line (მონაკვეთი) მაჩვენებლით დააწკაპუნეთ ერთჯერ, მაჩვენებელი მიიღებს ჯვრის ფორმას, ბრძანებით სტრიქონში კი დაიწერება:


Command: _Line Specify first point (მონაკვეთის საწყისი წერტილი): - პროგრამა ითხოვს მონაკვეთის საწყისი წერტილის დაფიქსირებას. სამუშაო ველის ნებისმიერ წერტილზე თაგვის მაჩვენებლის მარცხენა კლავიშით დააწკაპუნეთ ერთჯერ, მაჩვენებელს გამოებება ხაზი და ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ახალი ბრძანება: Specify next Ppoint or(Undo): პროგრამა ითხოვს მონაკვეთის ბოლო წერტილის დაფიქსირებას. გადაადგილეთ მაჩვენებელი გარემოებით მიმართულებით და თაგვის მარცხენა კლავიშით ერთჯერ დაწკაპუნებით დააფიქსირეთ მონაკვეთის ბოლო წერტილი, მაშინვე დააწკაპუნეთ თაგვის მარჯვნა კლავიშით და გამოიტანეთ მენიუ, აირჩიეთ ბრძანება Enter(შეტანა) და დააწკაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშით ერთჯერ. ნებისმიერი სიგრძის მონაკვეთი დაიხაზება სამუშაო ველზე.

შენიშვნა: შემდეგში როდესაც ვიტყვით ხაზის დილაკების პანელიდან აიღეთ ბრძანება იგულისხმება, რომ თაგვის მაჩვენებელი დააყენოთ ბრძანების შესაბამის დილაკზე და მარცხენა კლავიშით დააწკაპუნოთ ერთჯერ.

თუ გინდათ მონაკვეთის დახაზვა ზუსტი სიგრძის მითითებით, აიღეთ ისევ Line (მონაკვეთი), დააფიქსირეთ საწყისი წერტილი, მიეცით მიმართულება ხაზს, ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ მონაკვეთის სიგრძე და ორჯერ ზედიზედ დაარტყოთ კლავიტურის კლავიშით Enter(შეტანა). მონაკვეთი დაიხაზება სამუშაო ველზე.

თუ მონაკვეთის დახაზვა გსურთ კოორდინატების მითითებით გაიმეორეთ ისევ ბრძანება Line (მონაკვეთი), ბრძანებით სტრიქონში მოთხოვნის შესაბამისად აუკრიფეთ საწისი და ბოლო წერტილის კოორდინატები და დაამთავრეთ ხაზის აგების პროცესი ისე, როგორც ზემოთ იყო მითითებული.

ხაზის დროს ხშირად გჭირდებთ ერთიდაიგივე ბრძანების რამდენჯერმე გამოყენება. AutoCAD-ის პროგრამაში ბრძანების გასამეორებლად საჭიროა, მაჩვენებელი დააყენოთ სამუშაო ველის თავისუფალ ადგილზე და დააწკაპუნოთ თაგვის მარჯვენა კლავიშით ერთჯერ, გამოვა პოპულარული, ანუ დინამიკური მენიუ. სულ თავში, პირველ ბრძანებად ყოველთვის იქნება თქვენთვის სასაურველი გასამეორებელი ბრძანება. ამჟამად ეს არის Repeat Line (ხაზის გამეორება), რადგან ხაზის დილაკების პანელიდან აქტიური იყო ბრძანება Line(ხაზი), იხილეთ ნახ. 4.1.



ნახ. 4.1. პოპულარული მენიუ

საკონსტრუქტორო წრფე

ხაზის დილაკების პანელით აიღეთ Construction Line(საკონსტრუქტორო წრფე) მასზე თაგვის მაჩვენებლის ერთჯერ დაწკაპუნებით. მაჩვენებელი მიიღებს ჯგრის ფორმას, სამუშაო ველზე დააფიქსირეთ ის წერტილი, რომელზეც უნდა გაატაროთ საკონსტრუქტორო წრფე, რისთვისაც თაგვის მარცხენა კლავიშზე ერთჯერ დაწკაპუნეთ, თითის აუდებლად თაგვის მაჩვენებელით მიეცით წრფეს მიმართულება პორიზონტალური ან ვერტიკალური, ერთჯერ დაწკაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე, შედეგად ხაზი გაქრება სამუშაო ველიდან, თაგვის გაუნდრევლად (გადაადგილების გარეშე) დაწკაპუნეთ მარჯვენა კლავიშზე, შედეგად სამუშაო ველში საკონსტრუქტორო ხაზი დაიხაზება. შეგიძლიათ ამ ბრძანების გამეორებით დაასრულოთ საკონდინატო დერძების აგება.

ტექილი

ხაზის დილაკების პანელით აიღეთ Polyline(ტექილი), დახედეთ ბრძანებით სტრიქონს Command: _Line Specify first point (მონაკვეთის საწყისი წერტილი):

პროგრამა ითხოვს ტექილი მონაკვეთის საწყისი წერტილის დაფიქსირებას, ან კოორდინატების შეტანას. დააფიქსირეთ საწყისი წერტილი, ბრძანებით სტრიქონში ბრძანება შეიცვლება:

Specify next point or [Arc/Halfwidth/Length/Undo/Width]:

პროგრამა ითხოვს ტექილი მონაკვეთის მომდევნო წერტილს, ან მონაკვეთის სიგრძის მითითებას. მიუთითეთ მომდევნო წერტილი, ან მონაკვეთის სიგრძე და დახაზეთ ტექილი და ა. შ.

მრავალკუთხედი

ხაზის დილაკების პანელით აიღეთ Polygon(მრავალკუთხედი), დახედეთ ბრძანებით სტრიქონს

Command: _polygon Enter number of sides <4>:

პროგრამა თვითონ გთავაზობთ ოთხკუთხედის დახაზვას, თუ არ გაწყობთ შეიტანეთ ოქვენთვის სასურველი მრავალკუთხედის გვერდების რიცხვი და დაარტყით კლავიატურის კლავიშზე Enter(შეტანა), ბრძანებით სტრიქონში შეიცვლება ბრძანება

Specify center of polygon or [Edge]:

პროგრამა ითხოვს მრავალკუთხედის ცენტრის მითითებას, დაუფიქსირეთ მრავალკუთხედის ცენტრი, ან აუკრიბეთ ცენტრის კოორდინატები და დაარტყით კლავიატურის კლავიშზე Enter(შეტანა), ბრძანებით სტრიქონში შეიცვლება ბრძანება


Enter an option [Inscribed in circle/Circumscribed about circle] <I>:

პროგრამა გეგითხებათ : წრეწირში Inscribe(ჩახაზული), თუ წრეწირზე Circumscribe(შემოხაზული) მრავალკუთხედის დახაზვა გსურთ, უპასუხეთ შეგითხვას და დაარტყით კლავიატურის კლავიშზე Enter(შეტანა), ბრძანებით სტრიქონში ისევ შეიცვლება ბრძანება

Specify radius of circle:

პროგრამა ითხოვს წრეწირის რადიუსს, შეგიძლიათ თვალით შეარჩიოთ რადიუსის სიგრძე, მაგრამ უფრო ზუსტი მუშაობისათვის შეიტანეთ

კლავიატურიდან რადიუსის მნიშვნელობა და დაარტყით კლავიატურის კლავიშზე Enter(შეტანა). სამუშაო გელში დაიხაზება მრავალკუთხედი. შესრულებული ნახაზის ნიმუში იხილეთ ნახ. 4. 2-ებ.



ნახ. 4. 2. აღწერილი დილაკებით (Line, Polyline, Polygon) შესრულებული ნახაზის ნიმუში.

☞ მრავალკუთხედის დახაზვა შეგიძლიათ Line(მონაცემთა) ან Polyline(ტეხნილის) დილაკების გამოყენებითაც, მაგრამ უფრო ზუსტი მუშაობისათვის ისარგებლეთ დილაკით Polygon(მრავალკუთხედი).

მართკუთხედი

ხაზის დილაკების პანელიდან აიღეთ Rectangle(მართკუთხედი), სამუშაო ველის ნებისმიერ წერტილზე დააწკაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშით, დიაგონალის მიმართულებით ამოძრავეთ თაგვი ისე რომ, გამოხაზოთ სასურველი ფორმის მართკუთხედი და დიაგონალის ბოლო წერტილზე დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშით ერთჯერ.

რკალი ნებისმიერი სამი წერტილით

ამ იარაღით მუშაობის დროს გჭირდებათ სამი წერტილის დაფიქსირება. ხაზის დილაკების პანელიდან აიღეთ Arc(რკალი) მასზე თაგვის მარცხენა კლავიშის დაწკაპუნებით, ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Command: _arc Specify start point of arc or [Center]:

პროგრამა ითხოვს რკალის საწყისი წერტილის დაფიქსირებას, სამუშაო ველის ნებისმიერ წერტილში დააფიქსირეთ რკალის საწყისი წერტილი, ბრძანებით სტრიქონში ბრძანება შეიცვლება:


Specify second point of arc or [Center/End]:

გაითვალისწინეთ რკალის ამოზნექილობა/ჩაზნექილობა, გადაადგილეთ მაჩვენებელი და დააფიქსირეთ მომდევნო წერტილი, ბრძანებით სტრიქონში კვლავ შეიცვლება ბრძანება:

Specify end point of arc:

პროგრამა ითხოვს რკალის საბოლოო წერტილის დაფიქსირებას, დააფიქსირეთ რკალის საბოლოო წერტილი თაგვის მარცხენა კლავიშზე დააწაპუნებით. სამუშაო ველში რკალი დაიხაზება მითითებული წერტილებით.

თუ გსურთ უფრო ზუსტად დახაზოთ რკალი, ისარგებელეთ ბრძანებით მენიუდან Draw →Arc(ხაზვა→რკალი), გამოვა ფანჯარა, რომელიც გთავაზობთ რკალის დახაზვის სხვადასხვა საშუალებებს, იხილეთ ნახ. 4.. 3.



ნახ. 4. 3. ბრძანება მენიუდან Draw →Arc(ხაზვა→რკალი) რკალის დახაზვის სხვადასხვა საშუალებები.

წრეწირი

ხაზვის დილაკების პანელიდან აიღეთ Circle(წრეწირი), ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Command: _circle Specify center point for circle or [3P/2P/Ttr (tan tan radius)]:


პროგრამა ითხოვს წრეწირის ცენტრის დაფიქსირებას, დააყენეთ მაჩვენებელი სამუშაო ველის ნებისმიერ ადგილზე და დააწაპუნეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ, ან უფრო ზუსტი მუშაობისათვის კლავიატურიდან შეიტანეთ ცენტრის კოორდინატები და დაარტყით კლავიატურის კლავიშზე Enter (შეტანა). ბრძანებით სტრიქონში შეიცვლება ბრძანება:

Specify radius of circle or [Diameter]:

პროგრამა ითხოვს წრეწირის რადიუსის ან დიამეტრის მნიშვნელობის შეტანას. შეგიძლიათ თვალით დაუფიქსიროთ რადიუსის სიგრძის ტოლი მონაკვეთი და დააწაპუნოთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ, ან ბრძანებით სტრიქონში

აკრიბოთ რადიუსის სიგრძის შესაბამისი რიცხვი და დაარტყათ თითი კლავიშზე Enter(შეტანა). სამუშაო ველზე დაიხაზება წრეწირი.

თუ გსურთ უფრო ზუსტად დახაზოთ წრეწირი, ისარგებელეთ ბრძანებით მენიუდან Draw →Circle (ხაზა→წრეწირი), გამოვა ფანჯარა, რომელიც გთავაზობთ წრეწირის დახაზვის სხვადასხვა საშუალებებს, იხილეთ ნახ. 4. 4.



ნახ. 4. 4 ბრძანება მენიუდან Draw →Circle (ხაზა→წრეწირი) წრეწირის დახაზვის სხვადასხვა საშუალებები.

ელიფსი

ხაზის დილაკების პანელიდან აიღეთ Ellipse(ელიფსი), ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Specify axis endpoint of ellipse or [Arc/Center]:

პროგრამა ითხოვს ელიფსის ცენტრის ან რკალის დაფიქსირებას, დააფიქსირეთ ელიფსის ცენტრი სამუშაო არის ნებისმიერ წერტილზე თაგვის


Specify other endpoint of axis:

მარცხენა კლავიშის დაწკაპუნებით, ბრძანებით სტრიქონში ბრძანება შეიცვლება:

პროგრამა ითხოვს ელიფსის რადიუსის ბოლო წერტილის მითითებას, მაჩვენებელის გადაადგილებით მიეცით რადიუსის შესაბამის მონაკვეთს მიმართულება და დაწკაპუნეთ რადიუსის ბოლოს შესაბამის წერტილზე. ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ახალი ბრძანება:


Specify distance to other axis or [Rotation]:

პროგრამა ითხოვს მანძილს მეორე ღერძის მიმართ ან მობრუნებას. დაუფიქსირეთ საბოლოო წერტილი და მაჩვენებლით დაწკაპუნეთ მასზე ერთჯერ, ან ბრძანებით სტრიქონში შეიტანეთ მობრუნების კუთხის სესაბამისი რიცხვი, ელიფსი დაიხაზება სამ საო ველში. შესრულებული ნახაზის ნიმუში იხილეთ ნახ. 45-ზე




ნახ. 4. 5. აღწერილი დილაკებით (Arc,Circle,Ellips) შესრულებული ნახაზის ნიმუში.

დილაკების სტრიქონიდან აიღეთ Hatch(დაშტრიხვა), ეკრანზე გამოვა დიალოგური ფანჯარა - Boundary Hatch and Fill(დაშტრიხვის პარამეტრები და შევსება). ფანჯარას აქვს სამი ჩანაცვლება.



ნახ. 4. 6. დიალოგური ფანჯარა Boundary Hatch and Fill (დაშტრიხვის პარამეტრები და შევსება), ჩანაცვლებით Hatch(დაშტრიხვა).


გახსნილი უნდა იყოს პირველი ჩანაცვლება Hatch(დაშტრიხვა). იხილეთ ნახ. 4. 6. პროგრამა თვითონ გთავაზობთ დაშტრიხვის Type(ტიპსა) და Pattern(ნიმუშს). თუ პროგრამის მიერ შემოთავაზებული ნიმუში არ გაქმაყოფილებთ, გახსენით სია Pattern(ნიმუშები), რისთვისაც მაჩვენებლით დააწერეთ სიის გასწვრივ მოთავსებულ პატარა შავ სამკუთხედზე და აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ნიმუში. შეგიძლიათ დასაშტრიხი ხაზებისათვის აირჩიოთ დახრის კუთხე და ხაზებს შორის დაშორებები, თუ გახსნით შესაბამისად ჯერ Angle(კუთხის), შემდეგ კი Scale(დანაყოფების) გასწვრივ მოთავსებულ პატარა შავ სამკუთხედებს. ამის შემდეგ აირჩიეთ დასაშტრიხი ობიექტის მონიშვნის საშუალება. თუ დასაშტრიხი არ ე შემოსაზღვრულია ჩაკეტილი კონტურით, მაშინ მაჩვენებლით დააწერეთ დიალოგურ ფანჯარაში მოთავსებულ ლილაკზე Pick Points(მაჩვენებლით მონიშვნა), მაჩვენებელი მიიღებს ჯვრის ფორმას, თაგვის მაჩვენებელი გადაადგილეთ ნახაზზე და მონიშნეთ დასაშტრიხი არე. თუ კონტური კარგად არის შეკრული, არე მოინიშნება, თუ არა და ნახაზი კარგად დაათვალიერეთ სადმე გახსნილი ხომ არ არის, შეკარით კონტური და გაიმეორეთ იგივე მოქმედება. თუ არ ე მოინიშნება დააწერეთ თაგვის მარჯვენა კლავიშზე, გამოვა დინამიკური მენიუ, თაგვის მაჩვენებლით დააწერეთ ბრძანებაზე Enter(შეტანა), ეკრანზე ისევ გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა Boundary Hatch and Fill(დაშტრიხვის პარამეტრები და შევსება), ფანჯარის ქვემოთ მონახეთ ლილაკი OK და მასზე დაწერეთ პროგრამას მიეცით დასტური, რის შედეგადაც მონიშნული არე დაიშტრიხება.



ნახ. 4. 7. დიალოგური ფანჯარა Boundary Hatch and Fill (დაშტრიხვის პარამეტრები და შევსება), ჩანაცვლებით Advanced(განსაკუთრებული).

თუ დასაშტრიხი არე რთულია, მაშინ მოსანიშნად აირჩიეთ დილაკი Select Objects, მონიშნეთ დასაშტრიხი არე, მონიშვნის შემდეგ მარჯვენა კლავიშზე დაწკაპუნებით გამოიტანეთ დინამიკური მენიუ, თაგვის მარცხენა კლავიშით დაწკაპუნებით ბრძანებაზე Enter(შეტანა), გამოვა ისევ დიალოგური ფანჯარა Boundari Hatch and Fill(დაშტრიხვის პარამეტრები და შევსება) და მიეცით დასტური, რის შედეგადაც დაშტრიხება მონიშნული არე.

ისევ გაიმეორეთ ბრძანება Hatch(დაშტრიხვა) და გახსენით ჩანაცვლება Advanced(განსკუთრებული ვარიანტები). იხილეთ ნახ. 4. 7. ფანჯრის ჩანაცვლებაში არის სამი სახის სტილი: Normal(ნორმალური), Outer(გარე) და Ignore(გამორიცხვა). Normal(ნორმალური) –სტილს პირველი ჩანაცვლებაც იყენებს, Outer(გარე) და Ignore(გამორიცხვა)-ს კი იყენებს ჩანაცვლება Advanced(განსკუთრებული). შექმნით საერთო სირთულის ექვსი ნახატი, რომელსაც გამოიყენებთ შემდგომში მუშაობის დროს. იხილეთ ნახ. 4. 8.



ნახ. 4. 8. ჩაკეტილი არის დაშტრიხვის ვარიანტები.

ხაზის დილაკებით სარგებლობის დროს თვალყური ადევნეთ ბრძანებით სტრიქონში გამოტანილ ბრძანებას, უპასუხეთ პროგრამის მოთხოვნას თაგვის მაჩვენებლის დაწკაპუნებით ან ბრძანებით სტრიქონში ჩაწერილი პარამეტრის მნიშვნელობის შეტანით და დაამთავრეთ მოქმედება. მოქმედების დასამთავრებლად ზოგი ბრძანება მოითხოვს თაგვის ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა კლავიშზე ერთჯერ დაწკაპუნებას, ან კლავიატურის კლავიშზე Enter(შეტანა) თითის ორჯერ ზედიზედ დარტყმას, ან კლავიშზე Esc თითის რამდენჯერმე დარტყმას, მანამ სანამ ბრძანებით სტრიქონში არ გაჩნდება

Command(ბრძანება): ბრძანების დამთავრება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობას ვერ გააგრძელებო.

მოდიფიკაციის დილაკების ჩამონათვალი და მათი გამოყენება

	Erase	საშლელი
	Copy Object	ობიექტის კოპირება
	Miror	სარკისებური ასახვა
	Offset	მსგავსი ფიგურის დახაზვა
	Array	მასივი
	Move	გადაადგილება
	Rotate	მობრუნება
	Scale	მასშტაბი
	Stretch	გაჭიმვა
	Trim	მოჭრა
	Extend	გაფართოება
	Break at Point	გაწყვეტა
	Break	გაწყვეტა
	Chamfer	ფასკა
	Fillet	მომრგვალება



Explode

აფეთქება

საშლელი

მოდიფიკაციის დილაკების პანელიდან აიღეთ Erase(საშლელი), მაჩვენებელი მიიღებს პატარა კვადრატის ფორმას, ეს კვადრატი მოათავსეთ ნახაზის წასაშლელ ფრაგმენტზე, ნახაზის ფრაგმენტი მოინიშნება წყვეტილი ხაზებით, მაშინვე თაგვის გადაადგილების გარეშე დაწაპუნეთ მარჯვენა კლავიშზე. მონიშნული ნახაზის ფრაგმენტი წაიშლება. თუ შეცდით და ისეთი ფრაგმენტი წაშალეთ, რომელიც გჭირდებოდათ, შეგიძლიათ მისი აღდგენა. წაშლილი ფრაგმენტის აღსადგენად, სტანდარტული იარაღების სტრიქონიდან მონახეთ ბრძანება Undo(აღდგენა), მაჩვენებლის მარცხენა კლავიშით დაწაპუნეთ მასზე და სამუშაო ველში აღდგება ნახაზის წაშლილი ფრაგმენტი.

წაშლა სხვაგვარადაც შეგიძლიათ. მაჩვენებლით დაწაპუნეთ ნახაზის წასაშლელ ფრაგმენტზე, ნახაზის ფრაგმენტი მოინიშნება განსხვავებულად, მონახეთ კლავიატურაზე კლავიში Delete(წაშლა) და დაარტყით თითი, ნახაზის მონიშნული ფრაგმენტი წაიშლება.

ობიექტის ან ნახაზის ფრაგმენტის მოდიფიკაციისათვის საჭიროა, მონიშნოთ ეს ობიექტი ან ნახაზის ფრაგმენტი, მოდიფიკაციისათვის საჭირო ბრძანების შესაბამისი დილაკით.

მოდიფიკაციის დილაკებით სარგებლობის დროს გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერ დილაკზე მაჩვენებლის მარცხენა კლავიშის დაწაპუნებით მაჩვენებელი დებულობს პატარა კვადრატის ფორმას, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამა გადადის მონიშვნის რეჟიმში. ნახაზის ფრაგმენტზე ამ კვადრატის დაწაპუნებით ხდება ნახაზის ფრაგმენტის მონიშვნა (კონტური აისახება წყვეტილი ხაზით), რის გამოც შემდეგში ვიხმართ მხოლოდ “მონიშნეთ ობიექტი/ნახაზის ფრაგმენტი”

მოდიფიკაციის ბრძანებების მოქმედების დამთავრება ხდება მარჯვენა კლავიშზე დაწაპუნებით ან კლავიშზე Ener(შეტანა) თითის დარტყმით.

გადუბლება(კოპირება)

მოდიფიკაციის დილაკების პანელიდან აიღეთ Copy(დუბლი), ბრძანებით სტრიქონში დაიწერება: Select objects, პროგრამა ითხოვს გასადუბლებელი ფრაგმენტის/ობიექტის მონიშვნას. მონიშნეთ გასადუბლებელი ფრაგმენტი/ობიექტი, მასზე მაჩვენებლის ერთჯერ დაწაპუნებით, მაშინვე თაგვის გადაადგილების გარეშე დაწაპუნეთ მარჯვენა კლავიშზე ერთჯერ, ბრძანებით სტრიქონში გამოიტანება ბრძანება:

Specify base point or displacement:

პროგრამა ითხოვს საბაზო წერტილის დაფიქსირებას, დააფიქსირეთ საბაზო წერტილი, ან შეიტანეთ კლავიატურის საშუალებით საბაზო წერტილის კოორდინატები და დაარტყით თითი კლავიშზე Enter(შეტანა), კურსორს გამოებმება ხაზი, ბრძანებით სტრიქონში კი შეიცვლება ბრძანება:

Specify base point or displacement: Specify second point of displacement

or <use first point as displacement>:

პროგრამა ითხოვს საბაზო წერტილის მიმართ გადაადგილების მიმართულებას და მანძილს. თაგვის მაჩვენებლით მიუთითეთ მიმართულება, დააფიქსირეთ გადასაადგილებელი მანძილი, დაწაპუნეთ თაგვის მარცხენა

კლავიშებ, შედეგად კონტური გაქრება, ახლა დააწაპუნეთ თაგვის მარჯვენა კლავიშებ და სამუშაო ველზე აისახება გასადუბლებელი ობიექტი ან ნახაზის ფრაგმენტი.

Specify base point or displacement:

სხვაგვარადაც შეგიძლიათ ობიექტის ან ნახაზის ფრაგმენტის გადუბლება, რისთვისაც გაიმეორეთ ბრძანება Extend(გაფართოება), ბრძანებით სტრიქონში ისევ გაჩნდება ბრძანება:

Specify base point or displacement:

დააფიქსირეთ საბაზო წერტილი, ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ახალი ბრძანება:

Specify base point or displacement: Specify second point of displacement

or <use first point as displacement>:

მიეცით მიმართულება, ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ დუბლისათვის გადასაადგილებელი მონაკვეთის სიგრძის შესაბამის რიცხვი და დაარტყით თითო კლავიშებ Enter(შეტანა), ამოძრავეთ თაგვი, ფიგურის დუბლი გამოჩნდება, დააწაპუნეთ თაგვის ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა კლავიშებ და გასადუბლებელი ფიგურა აისახება სამუშაო ველზე.

სარკისებური ასახვა

მოდიფიკაციის დილაკების პანელიდან აიღეთ Mirror(სარკისებური ასახვა), ბრძანებით სტრიქონში დაიწერება: Select objects, პროგრამა ითხოვს ნახაზის იმ ფრაგმენტის ან ობიექტის მონიშვნას, რომლის ასახვაც გსურთ. მონიშნეთ ნახაზის ფრაგმენტი, ან ობიექტი და დააწაპუნეთ თაგვის მარჯვენა კლავიშებ, ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Specify first point of mirror line:

პროგრამა ითხოვს ასახვის იმ დერძის პირველ წერტილს, რომლის მიმართ ხდება ასხავა, დააფიქსირეთ ეს წერტილი მასზე თაგვის მაჩვენებლის ერთჯერ დაწაპუნებით, ბრძანებით სტრიქონში შეიცვლება ბრძანება:

Specify first point of mirror line: Specify second point of mirror line:

პროგრამა ითხოვს ასახვის დერძის მომდევნო წერტილს, დააფიქსირეთ ეს წერტილი მასზე თაგვის მაჩვენებლის ერთჯერ დაწაპუნებით, სამუშაო ველზე გამოჩნდება ასახვის კონტური. თუ გაწყობთ მიღებული ასახვა დააწაპუნეთ თაგვის მარჯვენა კლავიშებ, შედეგად ასახვის კონტური ეკრანიდან გაქრება. ახლა დააწაპუნეთ თაგვის მარჯვენა კლავიშებ, ასახვის პროცესი დამთავრდა, შედეგად სამუშაო ველზე გაჩნდება ასახული ობიექტი.

მსგავსი ფიგურის დახაზვა.

მოცემული ფიგურის მსგავსი ფიგურის დასახაზად მოდიფიკაციის დილაკების პანელიდან აიღეთ Offset(მსგავსი ფიგურა), ბრძანებით სტრიქონში დაიწერება ბრძანება:

Specify offset distance or [Through] <Through>:

პროგრამა ითხოვს მსგავს ფიგურებს შორის დაშორებას, ბრძანებით სტრიქონში აკრიფეთ ამ დაშორების მანძილის შესაბამისი რიცხვი და დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა), ბრძანებით სტრიქონში ბრძანება შეიცვლება:

Select object to offset or <exit>:


პროგრამა ითხოვს იმ ფიგურის მონიშვნას, რომლის მსგავსი ფიგურის აგებაც გსურთ. მონიშნეთ ეს ფიგურა, ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Specify point on side to offset:

პროგრამა ითხოვს იმ წერტილის დაფიქსირებას, რომელზეც უნდა აისახოს მოცემული ფიგურის მსგავსი ფიგურა. თაგვის მაჩვენებლის გამოყენებით მიეცით მიმართულება მოცემული ფიგურის შიგნით ან გარეთ და დააწყაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე ერთჯერ. სამუშაო ველზე აისახება მოცემული ფიგურის მსგავსი ფიგურა.

ფიგურების მასივად გამრავლება

სამუშაო ველზე დახაზუთ რომელიმე ფიგურა, მაგ. პატარა წრეწირი. მოდიფიკაციის ღილაკების პანელიდან აიღეთ Array(მასივი), ეკრაზე გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა Array(მასივი). მასში უნდა აირჩიოთ მასივის სახე მართვულთა თუ პოლარული. მაგალითად აირჩიეთ მართვულთა მასივი. მიუთითეთ მასივისათვის სტრიქონებისა და სვეტების რაოდენობა, სტრიქონებს შორის და სვეტებს შორის დაშორება, დააწყაპუნეთ ფანჯრის ღილაკზე Select object(ობიექტის მონიშვნა) და ობიექტი მოინიშნება. ახლა დააწყაპუნეთ თაგვის მარჯვენა კლავიშზე, ეკრაზე გამოჩნდება ისევ დიალოგური ფანჯარა Array(მასივი), მიეცით დასტური ფანჯრის OK ღილაკზე დაწყაპუნებით. თქვენი ობიექტი მასივად გამრავლებული დაიხაზება სამუშაო ველზე. იხილეთ ნახ. 4. 8.



ნახ. 4. 9. დიალოგური ფანჯარა Array(მასივი).

გადატანა

მოცემული ფიგურის გადასაადგილებლად მოდიფიკაციის დილაპების პანელიდან აიღეთ Move(გადატანა), კურსორი გადავა მონიშვნის რეჟიმში და ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება: Select Objects, მონიშნეთ გადასატანი ობიექტი და დააწაპუნეთ თაგვის მარჯვენა კლავიშზე, ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Specify base point or displacement:

პროგრამა ითხოვს საბაზო წერტილის დაფიქსირებას ან გადასატანი მანძილის სიგრძის მითითებას. მაჩვენებლის დაწკაპუნებით დააფიქსირეთ საბაზო წერტილი, ბრძანებიზე სტრიქონში გამოჩენილ გამოჩენის მიზანი ბრძანება:

Specify base point or displacement: Specify second point of displacement

or <use first point as displacement>:

დააფიქსირეთ ის წერტილი, სადაც უნდა გადაიტანოთ ობიექტი, ან მიუთითეთ გადასატანი მანძილის სიგრძე და დააწაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე. მოცემული ფიგურა გადაიტანება ახალ, თქვენს მიერ მითითებულ ადგილზე.

მობრუნება

მოცემული ობიექტის მოსაბრუნებლად რაიმე კუთხით, მონიშნეთ ეს ობიექტი მოდიფიკაციის დილაპის შესაბამისი ბრძანებით Rotate(მობრუნება) და დააწაპუნეთ მარჯვენა კლავიშზე, ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Specify base point (საბაზო წერტილი)

პროგრამა ითხოვს საბაზო წერტილის დაფიქსირებას, დააფიქსირეთ საბაზო წერტილი, ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ახალი ბრძანება:

Specify rotation angle or [Reference]:

პროგრამა ითხოვს მობრუნების კუთხის მითითებას, ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ მობრუნების კუთხის შესაბამისი რიცხვი და დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა). სამუშაო ველზე აისახება მობრუნებული ობიექტი.

მასშტაბი

ობიექტის მასშტაბის შესაცვლელად მონიშნეთ ეს ობიექტი მოდიფიკაციის დილაპის შესაბამისი ბრძანებით Scale(მასშტაბი) და დააწაპუნეთ თაგვის მარჯვენა კლავიშზე, ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება :

Specify base point(საბაზო წერტილი)

პროგრამა ითხოვს საბაზო წერტილის დაფიქსირებას, დააფიქსირეთ საბაზო წერტილი, ბრძანებით სტრიქონში შეიცვლება ბრძანება:

Specify scale factor or [Reference]:

პროგრამა გეკითხებათ რამდენით შეცვალოს მასშტაბი. ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ რიცხვი და დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა), სამუშაო ველზე აისახება შეცვლილი მასშტაბის მქონე ობიექტი.

გაითვალისწინეთ რომ თუ ბრძანებით სტრიქონში ერთზე მეტ რიცხვს ჩაწერთ მასშტაბი დიდდება, ხოლო ერთზე ნაკლები რიცხვის ჩაწერით კი მასშტაბი მცირდება.

მოჭრა

ხაზის დროს ზოგჯერ გჭირდებათ ხაზის ან ნახაზის ფრაგმენტი ნაწილის მოჭრა, ამისათვის ისარგებლეთ მოდიფიკაციის დილაკით Trim(მოჭრა). ამ დილაკის აღების შემდეგ ბრძანებით სტრიქონში ჩნდება ბრძანება: Select Objects.

პროგრამა ითხოვს ობიექტის მონიშვნას, ამ დროს უნდა მოინიშნოს წასაჭრელი ობიექტის საზღვრები და დააწაპუნოთ თაგვის მარჯვენა კლავიშზე ერთჯერ. ბრძანებით სტრიქონში შეიცვლება ბრძანება:

Select object to trim or shift-select to extend or [Project/Edge/Undo]:

პროგრამა ითხოვს ნახაზის წასაჭრელი/ამოსაჭრელი ფრაგმენტის მონიშვნას, მონიშნეთ წასაჭრელი ფრაგმენტი და დაამთავრეთ წაჭრის ოპერაცია.

გაფართოება

ხაზის დროს შეიძლება დაგჭირდეთ რომელიმე მონაკვეთის დაგრძელება, ამისათვის ისარგებლეთ მოდიფიკაციის დილაკით Extend(გაფართოება). ამ დილაკის აღების შემდეგ ბრძანებით სტრიქონში ჩნდება ბრძანება Select Objects.

პროგრამა ითხოვს ობიექტის მონიშვნას. მონიშნეთ ის ხაზი, სადამდეც გინდათ მონაკვეთის დაგრძელება, დააწაპუნეთ მარჯვენა კლავიშზე ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Select object to extend or shift-select to trim or [Project/Edge/Undo]:

პროგრამა ითხოვს დასაგრძელებელი მონაკვეთის მონიშვნას. მონიშნეთ დასაგრძელებელი მონაკვეთი, დაამთავრეთ ოპერაცია თაგვის მარჯვენა კლავიშზე დაწაპუნებით და მონაკვეთი მიიღებს სასურველ სიგრძეს.

გაწყვეტა

თუ გსურთ დახაზული ობიექტის რომელიმე მონაკვეთის გაწყვეტა ისარგებლეთ დილაკით Break(გაწყვეტა). ამ დილაკის აღების შემდეგ ბრძანებით სტრიქონში გამოჩნდება ბრძანება:

Command: _break Select object:

პროგრამა ითხოვს გასაწყვეტი ობიექტის მონიშვნას. მონიშნეთ გასაწყვეტი ობიექტი, მაგრამ გაითვალისწინეთ სად გინდათ რომ გაწყდეს და იქ დააწაპუნეთ თაგვის მაჩვენებლის მარცხენა კლავიშით, პროგრა ამ წერტილს აღიქვამს, როგორც გასაწყვეტი არის საწყის წერტილს და ბრძანებით სტრიქონში შეიცვლება ბრძანება:

Specify second break point or [First point]:

პროგრამა ითხოვს გასაწყვეტი არის ბოლო წერტილს. თაგვის მაჩვენებლის გადაადგილებით და მარცხენა კლავიშზე ერთჯერ დაწაპუნებით დააფიქსირეთ ეს წერტილი, ობიექტის არჩეული მონაკვეთი გაწყდება.

ფახუა

ამ ბრძანებით ხდება მრავალკუთხედის კუთხეების ჩამოჭრა. დახაზეთ ნებისმიერი მრავალკუთხედი, მოდიფიკაციის დილაკების პანელიდან აიღეთ დილაკი Chamfer(ფახუა), ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Select first line or [Polyline/Distance/Angle/Trim/Method/mUltiple]: a

პროგრამა გთავაზობთ რამდენიმე მეთოდს ფასკისათვის, ესენია: Polyline(ტექნიკური), Distance(დისტანციით), Angle(კუთხით) და სხვა. აირჩიეთ რომელიმე მათგანი, მაგ. Angle(კუთხით), ამისათვის ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ ასო – a და დაარტყით კლავიშზე Enter(შეტანა), ბრძანებით სტრიქონში ბრძანება შეიცვლება:

Specify chamfer length on the first line <0.0000>:

პროგრამა გეკითხებათ რა სიგრძის მონაკვეთი ჩამოჭრას პირველი ხაზიდან? ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ წასაჭრელი მონაკვეთის სიგრძის შესაბამის რიცხვი და დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა), ბრძანებით სტრიქონში ისევ შეიცვლება ბრძანება:

პროგრამა გეკითხებათ ფასკის პირველი ხაზიდან დახრის კუთხის სიდიდეს,

Specify chamfer angle from the first line <0>:

ჩაწერეთ ბრძანებით სტრიქონში დახრის კუთხის სიდიდე და დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა), ისევ ახალი ბრძანება გამოიტანება ბრძანებით სტრიქონში:

Select first line or [Polyline/Distance/Angle/Trim/Multiple]:

პროგრამა გეკითხებათ ფასკისათვის პირველი ხაზის მონიშვნას, მონიშნეთ ფასკისათვის პირველი ხაზი, ისევ ახალი ბრძანება გამოიტანება ბრძანებით სტრიქონში:

პროგრამა ითხოვს ფასკისათვის მეორე ხაზის მონიშვნას, მონიშნეთ ფასკისათვის მეორე ხაზი და ფასკა გაკეთდება. შეგიძლიათ გაიმეოროთ ეს ბრძანება და მითიტებული პარამეტრებით რამდენიმე ფასკა გააკეთოთ.

ფასკის გასაკეთებლად თუ აირჩევთ მეთოდს Distance(დისტანციით), ბრძანებით სტრიქონში ისევ ისეთი კითხვები გაჩნდება, გარდა ერთი კითხვისა

Specify chamfer angle from the first line <0>:

ამ კითხვის ნაცვლად გამოჩნდება ახალი კითხვა :

Specify second chamfer distance <10.0000>:

პროგრამა ითხოვს ფასკისათვის მეორე ხაზიდან ჩამოსაჭრელ მონაკვეთს, ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ მეორე ხაზიდან ჩამოსაჭრელი მონაკვეთი სიგრძის შესაბამისი რიცხვი და დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა), დანარჩენ რძანებებს ისე უნდა უპასუხოთ როგორც, როგორც ზემოთ არის აღნიშნული.

მომრგვალება

ამ ბრძანებით ხდება მრავალკუთხედის კუთხეების მომრგვალება. დახაზეთ ნებისმიერი მრავალკუთხედი, მოდიფიკაციის დილაკების პანელიდან აიღეთ დილაკი Fillet(მომრგვალება), ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ბრძანება:

Select first object or [Polyline/Radius/Trim/mMultiple]:

პროგრამა გტავაზობთ რამდენიმე მეთოდს მომრგვალებისათვის ესენია: Polyline(ტექნიკური), Radius(რადიუსი), Trim(მოჭრა), mMultiple(მულტიპლიკაცია). აირჩიეთ რომელიმე მათგანი, მაგ. Radius(რადიუსი), რისთვისაც ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ ასო – r და დაარტყით კლავიშზე Enter(შეტანა), ბრძანებით სტრიქონში ბრძანება შეიცვლება:

Specify fillet radius <0.0000>:

პროგრამა ითხოვს რადიუსის შესაბამისი რიცხვის შეტანას. ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ რადიუსის შესაბამისი რიცხვი დაარტყით კლავიშზე Enter(შეტანა), ბრძანებით სტრიქონში ბრძანება შეიცვლება:

პროგრამა ითხოვს მოსამრგვალებელი კუთხის პირველი გვერდის მონიშვნას,

Select first object or [Polyline/Radius/Trim/mUltiple]:

რისთვისაც თაგვის მაჩვენებელი დააყენეთ პირველ გვერდზე და დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ. ბრძანებით სტრიქონში გაჩნდება ახალი ბრძანება:

Select second object:


პროგრამა ითხოვს მოსამრგვალებელი კუთხის მეორე გვერდის მონიშვნას, რისთვისაც თაგვის მაჩვენებელი დააყენეთ მეორე გვერდზე და დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ, რის შედეგადაც კუთხე მომრგვალდება და პროცესი დასრულდება. შეგიძლიათ ამ ბრძანების რამდენჯერმე გამეორება უკვე არსებული პარამეტრების შეუცვლელად.

ანალოგიურად ხდება მომრგვალება PolyLine(გეხილი) მეთოდის გამოყენების დროსაც. განსხვავება ის არის რომ ამ მეთოდით სარგებლობისას პროგრამა ყველა კუთხეს ერთდროულად მოამრგვალებს.

აფეთქება

ამ დილაკით სარგებლობის დროს ხდება ობიექტის დაშლა შემადგენელ ნაწილებად.

კონსტრუქტორს მუშაობის დროს ხშირად უხდება რომელიმე ბრძანების გამეორება, რისთვისაც იყენებს მარჯვენა კლავიშის საშუალებით დინამიკური




ნახ. 4. 10. დიალოგური ფანჯარა Options(პარამეტრი), დინამიკური მენიუს ჩართვა და გამორთვა.

მენიუს გამოტანას. ზოგჯერ კი პირიქით ამ დინამიკური მენიუს ეკრანზე გამოჩენა ხელის შემშლელია კონსტრუქტორისათვის. შეგიძლიათ გამორთოთ დინამიკური მენიუ, რისთვისაც შეასრულეთ ბრძანებათა მიმდევრობა:

აირჩიეთ მენიუდან ბრძანება: Tools(იარაღები), Options(პარამეტრი), ეკრანზე გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა Options(პარამეტრი), გახსენით ჩანაცვლება User Preferences (მომხმარებლის უფლებები), მონახეთ ალმის ველი Shortcut menus in drawing area(ხაზის ზონაში მენიუს ნიშნაკი) და მოხსენით ალამი, იხილეთ ნახ. 4. 9.

პროგრამა AutoCAD2005-ს აქვს უამრავი დილაკების ჯგუფები, რაც ეხმარება კონსტრუქტორს სწრაფ მუშაობაში. დილაკების ასეთი ჯგუფია Object Snap. ამ დილაკების საშუალებით სწრაფად შეგიძლიათ მოძებნოთ მონაკვეთის შუა წერტილი, მონაკვეთის საწყისი და ბოლო წერტილები, ორი წრფის გადაკვეთის წერტილი, წრეწირის ცენტრი, წრეწირის მხების შეხების წერტილი და ა. შ.

თუ გინდათ მოაკვეთოს შეაწერტილის, საწყისი და ბოლო წერტილების, ორი წრფის გადაკვეთის წერტილის, წრეწირის ცენტრის, დამტეტრის ბოლოების ან მხების შეხების წერტილის მონიშვნა, წინასწარ ობიექტის თვისებებში დააყენეთ ნაცრისფერი, აირჩიეთ მენიუდან ბრძანება Format(ფორმატი) → Point Style(წერტილის სტილი) და აირჩიეთ წერტილისათვის ფორმატი, შემდეგ დაწავალეთ Object Snap -ის იმ დილაკზე, რომლის შესრულებაც გსურთ ზემოთ ჩამონათვალიდან, აიდეთ ხაზის დილაკების პანელიდან წერტილი და თაგვის მაჩვენებელით დაწავალეთ თქვენს ნახაზზე, სამუშაო ველში გაჩნდება ნაცრისფერი წერტილები, იხილეთ ნახ. 4. 10.



ნახ. 4. 11. Object Snap -ის დილაკები.

თავი 5

ფორმატების დახაზვა

ЕСКД –ს მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად ნახაზებისა და სხვა საბუთების, სამრეწველო და საამშენებლო კველა სახის დარგის საპროექტო და საკონ-სტრუქტორო დოკუმენტაციისათვის გასათვალისწინებელი სტანდარტებით (Гост 2.301-68-შესაბამისად), დადგენილია ქაღალდის ფორმატი და მათი შესაბამისი გაფორმება. ჩვეულებრივ პრაქტიკაში ასეთ ფურცლებს ეწოდება ფორმატები. რადგან არცერთი ნახაზი მის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ დაიწყეთ AutoCAD-ის პროგრამის საშუალებით ფორმატების დახაზვა, რომელსაც შემდეგში სისტემატურად გამოიყენებთ. ეს არის A4-ის შესაბამისი ფორმატება.

ხაზების გავლება კოორდინატებით

კოორდინატებით მუშაობის დროს მონაკვეთის ბოლო წერტილის კოორდინატები შეგვავთ კლავიატურის საშუალებით, ნებისმიერი სიზუსტით. ამ დროს შეგიძლიათ დახრილის გავლებაც ისე რომ, მდგომარეობის სტრიქონში არ გქონდეთ ჩართული Ortho(ორთოგონალური).

შენიშვნა: კოორდინატებით მუშაობის დროს კოორდინატთა სათავის კოორდინატები ფარდობითია, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო მაგიდაზე შეიძლება სათავის კოორდინატები არ იყოს (0,0). განხილულ მაგალითში სათავის კოორდინატებია (30,30), ე. ი. ათვლას იწყებთ წერტილიდან O(0,0).

AutoCAD-ის ჩატვირთვის შემდეგ გახსენით თქვენი შაბლონი ფენებისათვის laier_shablon. ობიექტის თვისებებში დააყენეთ კვითელი ფერის ხაზი 7-თონკაჟ, ხაზვის იარაღების პანელიდან აიღეთ მონაკვეთი და ბრძანებით სტრიქონში აკრიფეთ შემდეგი კოორდინატების მიმდევრობა:

► გს \Rightarrow 30,30 \swarrow 240,30 \swarrow 240,322 \swarrow 30,322 \swarrow C \swarrow

სამუშაო მაგიდაზე დაიხაზება ცისფერი მართკუთხედი, რომლის ფორმატია A4(210X297 მმ).

ობიექტის თვისებებში დააყენეთ კვითელი ფერის ხაზი იარაღების პანელიდან აიღეთ მართკუთხედი და ბრძანებით სტრიქონში აკრიფეთ შემდეგი კოორდინატების მიმდევრობა:

► გს \Rightarrow 50,35 \swarrow 235,322 \swarrow

ადრე დახაზულ ცისფერ მართკუთხედში ჩაიხაზება კვითელი მართკუთხედი.

წერტილების მონიშვნა

სამუშაო ვალში დასვით საბაზო წერტილები, რისთვისაც შეასრულეთ შემდეგი ბრზანებები:


► ოთ \Rightarrow Layer1 /თვისებებში გააქტიურდება ნაცრისფერი დამატებითი აგებისათვის/;

► იპ \Rightarrow Point (წერტილი);

► გს \Rightarrow 57,90 \swarrow 185,70 \swarrow .

ჩართეთ Grid(ბადე), რისთვისაც მდგომარეობის სტრიქონში დაარტყით შესაბამის ღილაკზე ერთჯერ, ბრძანებათა ჯგუფის Zoom(ხედი)-ის საშუალებით გამოაჩინეთ ნახაზის საჭირო ფრაგმენტი სამუშაო მაგიდაზე, მაჩვენებელი დააყენეთ პირველ მონიშნულ წერტილზე, დახედეთ მდგომარეობის სტრიქონში წერტილის კოორდინატებს (57,90) და დარწმუნდით რომ ეს სწორედ ის წერტილია, რომელიც გჭირდებთ. შეამოწმეთ ბიჯი რამდენი მილიმეტრია, რისთვისაც გახსენით დიალოგური ფანჯარა Drafting Settings(), გახსენით ფანჯრის პირველი ჩანაცვლება Snap and Grid (ბადე და ბიჯი) და დააყენეთ 5-ის ჯერადი ბიჯი. იარაღების სტრიქონიდან აიღეთ Point (წერტილი), პირველი წერტილის მდებარეობიდან გადათვალეთ 10მმ და დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ, გადაადგილეთ მაჩვენებელი მარჯვნივ 23მმ და დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშზე. გაიმუროეთ ეს მოქმედება კიდევ ორჯერ მაჩვენებლის მარჯვნივ გადაადგილებით ჯერ 15მმ-ზე და შემდეგ კი 10 მმ-ზე.


დააყენეთ მაჩვენებელი ქვემოთ აღნიშნულ მეორე წერტილზე (155, 40), გადაადგილეთ მაჩვენებელი მარჯვნივ ჯერ 15მმ-ზე და შემდეგ კი 17მმ-ზე. ფორმატკაზე საბაზო წერტილები აღნიშნულია. იხილეთ ნახ. 4. 1.



ნახ. 5. 1. ფორმატკის ჩარჩო საბაზო წერტილებით


მონაცემთვების გამოხაზვა

მდგომარეობის სტრიქონში ჩართეთ ORTO(ორთოგონალური) და OSnap(წაბმა), ობიექტის თვისებებში გააკტიურეთ ხაზი 6-Основная, იარაღების პანელიდან აიღეთ Line(მონაცემთი), ისარგებლეთ მონიშნული წერტილებით და გაავლეთ მათზე პორიზონტალური ხაზი 2, გაიმეორეთ ბრძანება, რისთვისაც მაჩვენებელი დააყენეთ ნებისმიერ თავისუფალ ადგილზე, მარჯვენა კლავიშზე დააწეაპუნეთ ერთჯერ, დინამიკური მენიუდან აირჩიეთ ბრძანება Repeat Line (ხაზის გამეორება) და გაავლეთ ხაზი 3. რედაქტირების იარაღების სტრიქონიდან აიღეთ Copy(კოპირება), მონიშნეთ მესამე ხაზის მონაცემთი, დააყენეთ მაჩვენებელი ამ ხაზის ნებისმიერ წერტილზე, დააჭირეთ თითო მარცხენა კლავიშს, გადაადგილეთ მარცხენივ და დააყენეთ მომდევნო წერტილზე, გაივლება მე-4-ე მონაცემთი. გაიმეორეთ ეს მიმდევრობა კიდევ ორჯერ და გაავლეთ მე-5-ე და მე-6-ე მონაცემთები. იხილეთ ნახ. 4.2.



ნახ. 5. 2. ფორმატკაში შტამპის ჩახაზვა

ხაზვაში შტამპის დახაზვის წესების გათვალისწინებით და AutoCAD-ის საშუალებების გამოყენებით დაასრულეთ ფორმატკის დახაზვა. დამხმარე წერტილების წაშლა კი არ ხდება, არამედ ფენებში ნაცრისფერის შესაბამისი ნათურის გამორთვით ფორმატკაზე აღნიშნული წერტილები აღარ გამოჩნდება. იხილეთ ნახ. 4. 3.



ნახ. 5. 3. ფორმატები A4

ფენების ჩართვა და გამორთვა

ფენების შაბლონში გახსენით ფენების სია, მონიშნეთ რომელიმე ფენა, მაჩვენებლით დააწერა დააწერა ამ ფენის ნათურაზე, გაიტანეთ მაჩვენებელი ფენის გარეთ და დააწერა დააწერა თავისუფალ ადგილზე ერთჯერ, შედეგად ამ ფენის შესაბამისი ფერით შესრულებული ნახაზის ფრაგმენტი ეკრანზე აღარ გამოჩნდება. თუ გსურთ ნახაზის ფრაგმენტის ხელახლა გამოჩენა, ისევ გახსენით ფენების სია, გამორთული ფენის ნათურაზე დააწერა დააწერა მაჩვენებლით და ნახაზის ფრაგმენტი აღდგება ეკრანზე.

დახაზული ფორმატები შეინახეთ და გამოიყენეთ როგორც შაბლონი, რაც იმას ნიშნავს რომ ჯერ დახაზავთ ნახაზს სრულად, შემდეგ კი ამ ნახაზს მოათავსებთ ფორმატებაზე და შეინახავთ ახალი სახელით. ასეთი შენახვის შემდეგ ფორმატება იქნება ცარიელი და შეგიძლიათ მისი გამოყენება სხვადასხვა ნახაზისათვის.

თავი 6


ზომების განთავსება

პროგრამა AutoCAD-ს აქვს საშუალება, რომებისმიერ ნახაზზე განათავსოთ ზომები, მაგრამ ჯერ გაარკვიეთ შეესაბამება თუ არა თქვენი პროგრამა ECKD-ს, რომელიც ითვალისწინებს ГОСТ 2.307-68 –ს მოთხოვნებს.

AutoCAD-ის პროგრამაში არსებობს საკმაო რაოდენობის ზომების სტილის მზა ნიმუშები, მაგრამ ყველა მათგანი ვერ ამათუ იმ ორმით პასუხობს ECKD-ს მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებთან ყველაზე ახლოსაა STANDARD და ISO-35 WS და მათი გამოყენება შეესაბლებელია, მაგრამ სასურველია მომხმარებლის მიერ საკუთარი სტილის შემუშავება. უმჯობესია ერთჯერ შექმნათ საკუთარი სტილი და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში კონკრეტული ნახაზისათვის შეიტანოთ მასში დაზუსტებები.

ზომების სტილის მენეჯერის გამოსატანად შეასრულეთ ბრძანებათა მიმდევრობა:


აირჩიეთ მენიუდან ბრძანება : Dimension Style (ზომები სტილი) და დააწერეთ თაგვის მაჩვენებით ერთჯერ. ეკრაზზე გამოჩენდება დიალოგური ფანჯარა Dimension Style Manager (ზომების სტილის მენეჯერი). ამ ფანჯარაში ჩანს ერთი სტილი და აქვს დილაკები: Set Current (მიმდინარე სტილის დანიშვნა), New(ახალი სტილი), Modify(სტილის შეცვლა/ჩასწორება), Override(სტილზე გადაწერა) და Compare. იხილეთ ნახაზი 6. 1.



ნახ. 6. 1. დიალოგური ფანჯარა Dimension Style Manager (ზომების სტილის მენეჯერი).


- Set Current (მიმდინარე სტილის დანიშვნა)- დანიშნავთ პროგრამაში არსებულ სტილს;
- New(ახალი სტილი)- შექმნით ახალ სტილს;
- Modify(სტილის შეცვლა/ჩასწორება)- უკვე შექმნილ სტილს ჩასწორეთ;
- Override(სტილზე გადაწერა) –არსებულ სტილზე გადააწერეთ;
- Compare(შედარება)- სტილთან შედარებთ.

აირჩიეთ რომელიმე მათგანი და გააგრძელეთ მუშაობა. თუ გსურთ ახალი სტილის შექმნა აირჩიეთ New(ახალი სტილი) და თაგვის მაჩვენებლით ერთჯერ დააწერეთ ლილაკზე New(ახალი), გამოვა ფანჯარა - Create New Dimension Style(შექმნით ზომების ახალი სტილი), იხილეთ ნახ. 6. 2



ნახ. 6. 2. დიალოგური ფანჯარა Create New Dimension Style(შექმნით ზომების ახალი სტილი)

პირველ ტექსტურ ველში ჩაწერეთ ახალი სტილის სახელი, მეორე არის სის ველი, შეგიძლიათ დატოვოთ იგივე ან შეცვალოთ სათანადო ΓΟCT-ის მითითებით, შემდეგ სის ველში გახსენით სია და აირჩიეთ ზომების ტიპები: Linear(წრფივი), Angular(კუთხის), Radius(რადიუსის) და ა. შ.




ნახ. 6. 3. New Dimension Style Copy of ISO-25(ახალი ზომების სტილის კონირება)

დააწერეთ დილაკზე Continue(მიმდინარე), გამოვა New Dimension Style Copy of ISO-25(ახალი ზომების სტილის კოპირება) დიალოგური ფანჯარა ჩანაცვლებით Lines and Arrows(ხაზები და ისრები), იხილეთ ნახ. 6. 3.

ფანჯარა შეიცავს პარამეტრების დასაყენებლად შემდეგ ჯგუფებს:

- Dimension Lines(ზომის ხაზები);
- Extension lines(გამოსატანი ხაზები);
- Arrowheads(ისრები).

თითოეულ ჯგუფში აირჩიეთ სათანადო პარამეტრები: ხზის ფერი, ტიპი, საბაზო შეალები და გახსენით ფანჯრის შემდეგი ჩანაცვლება Texst(ტექსტი). იხილეთ ნახ. 6. 4.




ნახ. 6. 4. დიალოგური ფანჯარა New Dimension Style Copy of ISO-25(ახალი ზომების სტილის კოპირება) ჩანაცვლებით Text(ტექსტი).

ფანჯრის ამ ჩანაცვლებას აქვს ორი ჯგუფი :

- Text Appearance(ტექსტის პარამეტრები);
- Text Placement(ტექსტის განლაგება).

ამ ჯგუფებშიც აირჩიეთ პარამეტრები: ტექსტის სტილი, ფერი, სიმაღლე, ტექსტის ვერტიკალური ან ჰორიზონტალური განლაგება და მიეცით დასტური დილაკზე OK დაწერებით., დაიხურება ეს ჩანაცვლება და გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა Dimension Style Manager (ზომების სტილის მენუზე), კიდევ ერთჯერ მიეცით დასტური დილაკზე OK დაწერებით და დამთავრდება ახალი სტილის შექმნის პროცედურა.

სამუშაო მაგიდაზე თუ არა გაქვთ ზომების ღილაკები დაყენებული აირჩიეთ ბრძანება მენიუდან View(ხედვა) → Toolbars(ღილაკები) და თაგვის მაჩვენებლით დააწაპუნეთ მასზე ერთჯერ. გამოვა ღილოგური ფანჯარა Customize (მომხმარებელი), გახსენით ჩანაცვლება Toolbars(ღილაკები), დააყენეთ ალამი ვალში Dimension(ზომები), ეკრანზე გამოჩნდება ღილაკები, გადაადგილეთ სამუშაო მაგიდაზე და მოათავსეთ თქვენთვის სასურველ ადგილზე, იხილეთ ნახ. 6. 5.



ნახ. 6. 5. ზომების ღილაკები

განვიხილოთ ზოგი მათგანის გამოყენება:
წრფილი ზომები

აიდეთ ღილაკი Linear Dimension(წრფილი ზომები), დააყენეთ თაგვის მაჩვენებელი ობიექტის საწყის წერტილში, რომლის ზომის გამოტანაც გსურთ და დააწაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე. გადაადგილეთ მაჩვენებელი მონაკვეთის მეორე წერტილზე, გაჩნდება ხაზი, რომელიც გიჩვენებთ გასაზომ მანძილს. ამ ხაზის დახრა არ აისახება შედეგზე, რადგან ზომების მნიშვნელობების განთავსება ხდება OX და OY ღერძების მიმართულებით. დააყენეთ მაჩვენებელი მეორე წერტილზე, დააწაპუნეთ მარცხენა კლავიშზე, თაგვის გადაადგილებით განსაზღვრეთ ადგილი ზომის ხაზისათვის და დააწაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე ერთჯერ, ხახაზზე გაჩნდება ზომის ხაზი. გაზომვის სიზუსტე განისაზღვრება ხახაზის ელემენტთან მაჩვენებლის შეთავსების სიზუსტეზე. აბსოლიტური სიზუსტისათვის გამოიყენეთ Object Snap(ობიექტზე წაბმა).

დიამეტრისა და რადიუსის ზომები

იმის შესაბამისად, დიამეტრის ზომის თუ რადიუსის ზომის განთავსება გსურთ, აიღეთ დილაკი Diameter Dimension(დიამეტრის ზომა) ან Radius Dimension(რადიუსის ზომა). რომელიმე მათგანის აღების შემდეგ მაჩვენებლი გადადის მონიშვნის რეჟიმში, ე. ი. დებულობს პატარა კვადრატის ფორმას, მონიშნეთ თქვენი ობიექტი - წრეწირი/რკალი, ბრძანებით სტრიქონში გაცნდება ბრძანება:

Specify dimension line location or [Mtext/Text/Angle]:

პროგრამა ითხოვს მეთოდის აღჩევას: Mtext(მრავალსტრიქონიანი ტექსტი), Text(ტექსტი), Angle(კუთხი). აირჩიეთ რომელიმე მათგანი, მაგალითად Text(ტექსტი), ბრძანებით სტრიქონში ჩაწერეთ დათინური ასო t და დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა). ბრძანებით სტრიქონში შეიცვლება ბრძანება:

Enter dimension text <300.29>:

პროგრამა გთავაზობთ ზომისათვის ტექსტს და ელოდება დასტურს, თუ გაკმაყოფილებთ შემოთავაზებული ზომა დაადასტურეთ კლავიშზე Enter(შეტანა) თითოს დარტყმით და დაიწერება ზომა დიმეტრის სიმბოლოს მითითებით, ხოლო თუ არ გაკმაყოფილებთ, დაასრულეთ ბრძანების მოქმედების პროცედურა და ყველაფერი გაიმეორეთ თავიდან უფრო ზუსტი ზომის გამოსატანად.

ცენტრის ხაზები

წრეწირის ცენტრის მოსანიშნად ზომების დილაკებიდან აიღეთ დილაკი Center Mark(ცენტრის მონიშვნა), მაჩვენებელი გადადის მონიშვნის რეჟიმში, მონიშნეთ წრეწირი მაჩვენებლის დაწკაპუნებით წრეწირის ნებისმიერ წერტილში და ცენტრში გაჩნდება ორი ურთიერთგადამკვეთი წვრილი ხაზი და ცენტრი მოინიშნა.

კუთხების ზომები

ამ ბრძანებით შესაძლებელია ნახაზზე ორ არაპარელელურ წრფეს შორის კუთხის კუთხის ზომის განთავსება, თუნდაც ეს წრფეები გადაკვეთილი არ იყოს. ზომების დილაკებიდან აიღეთ დილაკი Angular Dimension(კუთხის ზომა), ბრძანებით სტრიქონში გამოჩნდება ბრძანება:

Select arc, circle, line, or <specify vertex>: 1


პროგრამა გთავაზობთ მონიშნოთ: arc(რკალი), circle(წრეწირი) ან line(ხაზი), მონიშნეთ მაგალითად კუთხის პირველი ხაზი, მასზე თაგვის მაჩვენებლის მარცხენა კლავიშზე ერთჯერ დაწკაპუნებით, ნახაზზე გაჩნდება ზომის ხაზი, თაგვის მოძრაობით დააყენეთ ზომის ხაზი ოქვენთვის სასურველ ადგილზე და დაწკაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე ერთჯერ, ნახაზზე განთავსდება კუთხის ზომა.

Select second line:

პროგრამა ითხოვს კუთხის მეორე ხაზის მონიშვნას, მონიშნეთ კუთხის მეორე ხაზი მასზე თაგვის მაჩვენებლის მარცხენა კლავიშზე ერთჯერ დაწკაპუნებით, ნახაზზე გაჩნდება ზომის ხაზი, თაგვის მოძრაობით დააყენეთ ზომის ხაზი ოქვენთვის სასურველ ადგილზე და დაწკაპუნეთ თაგვის მარცხენა კლავიშზე ერთჯერ, ნახაზზე განთავსდება კუთხის ზომა.

ზომების რედაქტირება

ხაზის დროს კონსტრუქტორს სჭირდება განთავსებული ზომების შეცვლა ან შესწორება, რისთვისაც შეგიძლიათ ისარგებლოთ მენიუს ბრძანებით Modify→Properties(რედაქტირება → თვისებები) ან სტანდარტული აირაღების სტრიქონიდან დილაკით Properties(თვისებები). ამ დილაკზე დაწკაპუნების შემდეგ მკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა Properties(თვისებები), იხილეთ ნახ. 6. 6.



ნახ. 6. 6. დიალოგური ფანჯარი Properties(თვისებები) ზომების ტექსტის ჩასასწორებლად.

ზომების განთავსების შემდეგ შეიძლება ეკრანზე არ ჩანდეს ტექსტი. იმისათვის რომ ტექსტი გამოჩნდეს ეკრანზე წინასწარ მონიშნეთ ნახაზზე ზომა, გამოიტანეთ დიალოგური ფანჯარი Properties(თვისებები), ვერტიკალური ლიფტის გადაადგილებით მონახეთ Text(ტექსტი), თაგვის მაჩვენებლით დააწყვენეთ ერთჯერ ვერტიკალურად მოთავსებულ ორმაგ უტოლობის ნიშანზე, გაიხსნება სია და გამოჩნდება ჩამონათვალი. მონახეთ ველი Text height(ტექსტის სიმაღლე) და მონიშნეთ, ჩააყენეთ კურსორი, წაშალეთ ძველი მნიშვნელობა, ჩაწერეთ მასში ტექსტის სიმაღლისათვის საჭირო ახალი მნიშვნელობა, თუ გსურთ ტექსტის მობრუნება მონიშნეთ ველი Text Rotacion(ტექსტის მობრუნება), ჩაწერეთ მასში მობრუნების კუთხის შესაბამისი მნიშვნელობა, ხოლო თუ გსურთ არსებული ტექსტის ნაცვლად სხვა ტექსტის ჩაწერა მონიშნეთ ველი Text override(ტექსტზე გადაწერა), ჩააყენებ კურსორი ამ ველში და ჩაწერეთ ახალი ტექსტი და დაარტყით თითო კლავიშზე Enter(შეტანა). ჩაპერეთ ტექსტის სია, ისევ ორმაგ უტოლობის ნიშანზე დაწყვენებით, ანალოგიურად გახსენით Lines&Arrows(ისრების) სია, შეცვალეთ ისრების ზომები იგივე მნიშვნელობით, რაც ტექსტისათვის იყო და დაარტყით თითო კლავიშზე Enter (შეტანა). დახურეთ დიალოგური ფანჯარი Properties (თვისებები), ნახაზზე მოხსენით მონიშვნა და ნახავთ რომ ზომების ტრქსტი გამოჩნდება.

ეს პროცესი საკმაოდ შრომატევადია, ამიტომ თითოეული ზომისათვის ცალცალკე კი არ ჩაასწოროთ, არამედ ჯერ დააყენეთ ნახაზის ყველა ზომა, შემდეგ მონიშნეთ რომელიმე მათგანი და ჩაასწორეთ. დახურეთ დიალოგური ფანჯარი Properties (თვისებები), მონახეთ სტანდარტული იარაღების სტრიქონში დილაკი Match Properties(ფორმატის კოპირება) და თაგვის მაჩვენებლით დააწყვენეთ მასზე ერთჯერ. მაჩვენებლი მიიღებს კვადრატის ფორმას, შეგიძლიათ


ჩასწორებული ზომის ხაზზე დაწკაპუნებით მონიშნოთ ეს ზომა, კურსორი ისევ შეიცვლება და მიიღებს ფუნჯის ფორმას, იხილეთ ნახ. 6. 7.



ნახ. 6. 7. ფორმატის კოპირების დილაკი.

გადაატარეთ ეს ფუნჯი იმ ზომის იმ ხაზებს, რომლის დაფორმატებაც გსურთ და დაამოავრეთ დაფორმატების პროცესი.

საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ ზომების ტექსტის ადგილის შეცვლა, რისთვისაც თაგვის მარჯვენა კლავიშზე ერთჯერ დაწკაპუნებით გამოიტანეთ კონტექსტური მენიუ, მონახეთ ბრძანება Dimtext pozition(ზომების ტექსტის პოზიციები). და არ დააწკაპუნოთ მარცხენა კლავიშზე (დაელოდეთ), გამოჩნდება აღნიშნული ბრძანების ქვემენიუ, იხილეთ ნახ. 6. 8.




ნახ. 6. 8. კონტექსტური მენიუ ბრძანებით Dim text pozition(ზომების ტექსტის პოზიციები).

წინასწარ ნახაზე მონიშნეთ ზომის ხაზი, გამოიტანეთ კონტექსტური მენიუ, აირჩიეთ სასურველი ვარიანტი და თაგვის მაჩვენებლით ერთჯერ დააწკაპუნეთ მასზე, შედეგად ზომის ტექსტი გადაადგილდება.

თუ გსურთ ზომის ტექსტში გამოტანილი ზომის დამრგვალება რაიმე სიზუსტით, ისევ მონიშნეთ ზომის ხაზი, გამოიტანეთ კონტექსტური მენიუ თაგვის მარჯვენა კლავიშზე ერთჯერ დაწკაპუნებით, მონახეთ ბრძანება Precision(სიზუსტე) და არ დააწკაპუნოთ მარცხენა კლავიშზე (დაელოდეთ), გამოჩნდება აღნიშნული ბრძანების ქვემენიუ, იხილეთ ნახ. 6. 9.

იმის მიხედვით თუ როგორი სიზუსტეით გსურთ ზომის რიცხვების დაფორმატება, შესაბამისად აირჩიეთ რომელიმე მათგანი და თაგვის მარცხენა

კლავიშით დააწერ მასზე ერთჯერ, შედეგად ზომის რიცხვი დამრგვალდება არჩეული სიზუსტის შესაბამისად.



ნახ. 6. 9. კონტექსტური მენიუ პრძანებით Precision(სიზუსტე).

ზემოთ განხილული მოქმედებების შესრულება შეგიძლიათ ზომის იარაღების დილაკებზე მოთავსებული ღილაკებით: Dimension Edit(ზომების შესწორება), Dimension Text Edit (ზომების ტექსტის შესწორება), იხილეთ ნახ. 6. 5.

ნახაზის ბეჭდვა


სანამ ნახაზის დაბეჭდვის ბრძანებით ისარგებლებდეთ, ჯერ დათვალიერეთ ნახაზის განლაგება წინასწარ დათვალიერების რეჟიმში., რისთვისაც თაგვის მაჩვენებლის მარცხენა კლავიშით დააწერეთ AutoCAD-ის სამუშაო მაგიდის ქვემოთ მოთავსებულ ღილაკზე Layout1, იხილეთ ნახ. 6. 10.



ბეჭდვის წინ
დათვალიერება

ნახ. 6. 10. ღილაკები Model და Layout1.


გამოჩნდება თქვენს მიერ დახაზული ნახაზი იმ სახით, როგორც უნდა დაიბეჭდოს. ამ რეჟიმში ნახაზის მხოლოდ დათვალიერება შეგიძლიათ, შესწორებისათვი კი ისევ ნახაზის ხაზის რეჟიმში უნდა დაბრუნდეთ, რისთვისაც დააწერეთ ღილაკზე Model და დაბრუნდებით ნახაზის დამუშავების რეჟიმში. გაასწორეთ ნახაზი, გადაადგილეთ სასურველ ადგილზე და ისარგებლეთ სტანდარტული იარაღების სტრიქონში მოთავსებული ღილაკით Plot(ბეჭდვა), სამუშაო მაგიდაზე გამოჩნდება დალოგური ფანჯარა Plot-Model(ბეჭდვა მოდელიდან), იხილეთ ნახ. 6. 11.



ნახ. 6. 11. დალოგური ფანჯარა Plot-Model(ბეჭდვა მოდელიდან).

დიალოგურ ფანჯარაში Plot-Model(ბეჭდვა მოდელიდან) მონახეთ სიის გელი Printer/Plotter, გახსენით სია და აირჩიეთ თქვენი საბეჭდი მოწყობილობის სახელი. თუ სიაში თქვენი საბეჭდი მოწყობილობის სახელი არ ჩანს, ეს იმას ნიშნავს რომ საბეჭდი მოწყობილობა (Printer/Plotter) დაყენებული არ არის თქვენს კომპიუტერში. შეინახეთ ნახაზი, დააყენეთ საბეჭდი მოწყობილობა და ხელახლა გაიმეორეთ ბრძანება Plot(ბეჭდვა). გახსენით სიის გელი Paper size(ქაღალდის ზომა) და აირჩიეთ ნახაზისათვის საონადო ფორმატი.

ჯგუფში Plot area(ნახაზის არე) გახსენით სიის გელი What to plot(როგორი ნახაზი გსურთ). სიის ჩამონათვალი იხილეთ ნახ. 6. 12.




ნახ. 6. 12. What to plot(როგორი ნახაზი გსურთ) სიის ჩამონათვალი.

- Display-ეკრანიდან;
- Extents-გაზრდილი;
- Limits-შემცირებული;
- Window-ჩარჩოთი მონიშნული.

თუ აირჩიეთ Display-ეკრანიდან, მოხდება ნახაზის გადატანა ეკრანიდან ქაღალდზე. Extents-გაზრდილის არჩევის შემთხვევაში ნახაზი გადიდება, Limits-შემცირებულის არჩევის დროს ნახაზი პატარავდება, ხოლო Window-ჩარჩოთი მონიშნულის არჩევისას დაიბეჭდება ნახაზი, რომელსაც მოაქცევთ ჩარჩოში.

ჯგუფში Plot scale (ნახაზის მასშტაბი) არის ალმის გელი Fit to paper(ქაღალდის შესაბამისი). თუ ამ გელში ალმი დაყენებულია, მაშინ დაიბეჭდება ქაღალდის შესაბამისი ნახაზი, თუ ალმს მოხსენით გააქტიურდება გელი Scale (მასშტაბი), გასენით სია Custom(მომხმარებლის), გამოჩნდება მასშტაბის ზომები, იხილეთ ნახ. 6. 13.



ნახ. 6. 13. ჯგუფი Plot scale (ნახაზის მასშტაბი) ალმის გელით Fit to paper(ქაღალდის შესაბამისი).

აირჩიეთ როგორი შესაბამისობით გინდათ ნახაზის გადიდება და მიეციო დასტური კლავიშზე OK დაწკაპუნებით. თუ პრინტერი ჩართულია დაიწყება ნახაზის ბეჭდვა არჩეული პარამეტრების შესაბამისად.

Л о Г я с о с

1. Э. Т. Романичева , Т. Е. Сидорова, С. Ю. Сидоров - AutoCAD практическое руководство, изд. 1997 г.
2. А. С. Уваров - Учебник AutoCAD 2000 для конструкторов, Москва, 2000 г.

